ანტონ ჩეხოვი

ალუბლის ბაღი

კომედია 4 მოქმედებად

გამომცემლობა „კენტავრი“
თბილისი
2014

სპექტაკლი მიეძღვნა მიხეილ თუმანიშვილის ხსოვნას

დამდგმელი რეჟისორი - გიორგი მარგველაშვილი
დამდგმელი მხატვარი - შოთა გლურჯიძე
ქორეოგრაფი - კოტე ფურცელაძე
რეჟისორის ასისტენტი - სოფო დანელია

რანევსკაია:	ნინელი ჭანკვეტაძე
ანია:	მაია გელოვანი
	მარი კიტია
ვარია:	თინათინ კორძაძე
	ნანა ბუთხუზი
გაევი:	პაატა ბარათაშვილი
ლოპახინი:	გიორგი როინიშვილი
ტროფიმოვი:	გიორგი ნაკაშიძე
სიმეონოვ-პიშჩიკი:	გია აბესალაშვილი
შარლოტა:	ეკა ჩხეიძე
	რუსუდან ბოლქვაძე
ეპიხოდოვი:	ზაზა მიქაშავიძე
დუნიაშა:	ქეთევან ასათიანი
ფირსი:	რევაზ თავართქილაძე
იაშა:	ბექა ჯუმუტია
გამგელი:	სანდრო დავითაშვილი
ეპიზოდებში:	თემურ კუპრავა
	ნიკა ყიფშიძე
	ანა ალექსიშვილი
	გიორგი ტორიაშვილი
	ეკა დემეტრაძე
	მამუკა ახალაია
	ვეკო ბუჩუკური
	მიშა ჩეკურიშვილი
	დენის დაშკოვი
	კახა კუპატაძე
	ნათია არბოლიშვილი

მოქმედი პირნი:

რანევსკაია, ლიუბოვ ანდრეევნა, მემამულე
ანია, მისი ქალიშვილი, 17 წლის
ვარია, რანევსკაიას შვილობილი, 24 წლის
გაევი, ლეონიდ ანდრეევიჩი, რანევსკაიას ძმა
ლოპახინი, ერმოლაი ალექსეევიჩი, ვაჭარი
ტროფიმოვი, პიოტრ სერგეევიჩი, სტუდენტი
სიმეონოვ-პიშჩიკი, ბორის ბორისოვიჩი, მემამულე
შარლოტა ივანოვნა, გუვერნანტი
ეპიხოდოვი, სემიონ პანტელეევიჩი, მოხელე
დუნიაშა, მოახლე
ფირსი, ლაქია, 87 წლის
იაშა, ახალგაზრდა ლაქია
გამვლელი
სადგურის უფროსი
ფოსტის მოხელე
სტუმრები, მოსამსახურე.

მოქმედება ხდება რანევსკაიას მამულში

პირველი მოქმედება

ოთახი, რომელსაც ჯერ ისევ ბავშვების ოთახს ეძახიან. ერთ-ერთი კარი ანიას ოთახში გადის. თენდება, მალე მზე ამოვა. უკვე მაისია, ალუბალი ყვავის, მაგრამ ბაღში დილის სუსხია და ცივა. ფანჯრები დახურულია.

შემოდის დუნიაშა სანთლით და ლოპახინი წიგნით ხელში.

ლოპახინი. მოვიდა მატარებელი, მადლობა ღმერთს. რომელი საათია?

დუნიაშა. ორი იქნება მალე. *(სანთელს აქრობს).* თენდება.

ლოპახინი. რამდენი დაიგვიანა მატარებელმა? სულ ცოტა ორი საათი მაინც. *(ამთქნარებს, იზმორება).* მეც კარგი ვინმე ვარ, რა სისულელე მომივიდა, განგებ ჩამოვედი, მინდოდა სადგურზე დავხვედროდი და დამეძინა... დავჯექი და დავიძინე. გული მწყდება... შენ მაინც გაგეღვიძებინე.

დუნიაშა. ვიფიქრე, წახვედით. *(ყურს მიუგდებს).* მგონი, მოდიან.

ლოპახინი. არა... ჯერ ბარგიო, მერე ესაო, ისაო....

პაუზა

ლიუბოვ ანდრეევნამ ხუთი წელი იცხოვრა საზღვარგარეთ... არ ვიცი, როგორი გახდა... ისე კარგი ადამიანია, უბრალო. მახსოვს, თხუთმეტი წლის ბიჭი ვიყავი, განსვენებულმა მამაჩემმა – ამ სოფელში სავაჭრო ჰქონდა – სახეში მუშტი ჩამარტყა... ცხვირიდან სისხლი მომდიოდა... რატომღაც ერთად მოვედით აქ და მამა ნასვამი იყო. ქალბატონმა, კარგად მახსოვს, ახალგაზრდა იყო, გამხდარი, მიმიყვანა პირსაბანთან, სწორედ ამ ოთახში და მითხრა: ნუ ტირი, გლეხის ბიჭო, ქორწილამდე მოგირჩებაო...

პაუზა

გლეხის ბიჭოო, ჰო, მამაჩემი გლეხი იყო. მე კი თეთრი ჟილეტი მაცვია, ყვითელი ფეხსაცმელები. საიდან სადაო,

არა? რაც მართალია, მართალია, მდიდარი ვარ, ფული ბევრი მაქვს, მაგრამ კარგად რომ დაუკვირდე, მაინც გლეხი ვარ... (*წიგნს გადაფურცლავს*). აჰა, ვკითხულობ ამ წიგნს და ვერაფერი გავიგე. კითხვაში დამეძინა.

დუნიაშა. ძაღლებს მთელი ღამე არ უძინიათ, გრძნობენ, პატრონები მოდიან.

ლოპახინი. რატო ხარ, დუნიაშა, ასე...

დუნიაშა. ხელები მიკანკალებს, ახლა გული წამივა.

ლოპახინი. რა ნაზი გახდი, ოოო. ქალბატონივით იცვამ, თმაც ისე გაქვს. როგორ შეიძლება. უნდა გახსოვდეს, ვინა ხარ.

შემოდის ეპიხოდოვი თაიგული მოაქვს. აცვია პიჯაკი და გაპრიალებული ჩექმები, რომლებიც მუტისმუტად ჭრაჭუნებენ. შემოვა თუ არა, თაიგული გაუვარდება.

ეპიხოდოვი *(აიღებს თაიგულს)*. მებაღემ გამომატანა, სასადილოში დადეთო. (*თაიგულს დუნიაშას აძლევს*).

ლოპახინი. და ბურახსაც მომიტან.

დუნიაშა. ახლავე. (*გადის*).

ეპიხოდოვი. დილის სუსხია. ყინვა სამი გრადუსი. ეს ალუბალი კი ყვავის. არა, ვერ მივიღებ ჩვენს კლიმატს. (*ამოიოხრებს*). არაფრად არ ვარგა. ჰო, ბატონო ერმოლაი, ნება მიბოძეთ, დავსძინო, სამი დღის წინ ჩექმები ვიყიდე, ისე ჭრაჭუნებენ, რომ აღარ შემიძლია, რა წავუსვა?

ლოპახინი. წადი რა, თავი გამანებე...

ეპიხოდოვი. სულ რაღაც უბედურება უნდა დამემართოს. მაგრამ არ ვწუწუნებ, მივეჩვიე და ვიღიმები.

შემოდის დუნიაშა, ლოპახინს ბურახს მოუტანს.

ეპიხოდოვი. წავედი. (*დაეჯახება სკამს. სკამი წაიქცევა*). აი... (*თითქოს გაეხარდა*). აი, ხედავთ... ბოდიში ამ გამოთქმისათვის და რა ვითარებასთან გვაქვს საქმე. არა, ეს ნამდვილად შესანიშნავია. *(გადის).*

დუნიაშა. ერმოლაი ალექსეიჩ, გამოგიტყდებით, ეპიხოდოვმა ცოლობა მთხოვა.

ლოპახინი. ოო!

დუნიაშა. არ ვიცი, რა ვქნა... წყნარი კაცია, მაგრამ ლაპარაკს რომ დაიწყებს, არ მესმის, რას ამბობს. დალაგებულად ყვება, გრძნობით. ვერ ვიგებ. თითქოს მომწონს. იმას გაგიჟებით ვუყვარვარ. უბედური კაცია – დღე არ გავა, რამე არ დაემართოს. ჩვენები დასცინიან, თარსი ხარო.

ლოპახინი: (*აყურადებს*) მგონი, მოდიან.

დუნიაშა: მოდიან! ვაიმე, რა დამემართა, სულ გავიყინე.

ლოპახინი. მოდიან... ჰო, ნამდვილად მოდიან. წამო, შეეხვდეთ. ნეტავ თუ მიცნობს? ხუთი წელია, ერთმანეთი არ გვინახავს.

დუნიაშა. (*აღელვებულია*). ახლა წავიქცევი... ვაიმე, წავიქცევი!

ისმის, სახლს როგორ მოადგა ორი ეტლი. ლოპახინი და დუნიაშა სწრაფად გაელენ. სცენა ცარიელია. მეზობელ ოთახებში იწყება ჩოჩქოლი. მთელ სცენას სწრაფი ნაბიჯით გადაჭრის ჯოხზე დაყრდნობილი ფირსი, რომელიც ლიუბოვ ანდრეევნას შესახვედრად იყო წასული. აცვია ძველებური ლივრეა. ახურავს მაღალი ქუდი; რაღაცას ბურტყუნებს თავისთვის, ოღონდ არ ისმის. სცენის მიღმა ხმაური მატულობს. ვიღაც ამბობს: „აქეთ მობრძანდით...“ შემოდიან ლიუბოვ ანდრეევნა, ანია და შარლოტა, ჯაჭვზე მიბმული ძაღლით, საშვზავრიდ ჩაცმულები, ვარია პალტოში, თავზე შალით, გაევი, სიმეონოვ-პიშჩიკი, ლოპახინი, დუნიაშა ფუთითა და ქოლგით, მოსამსახურე სხვადასხვა ბარგით. ყველანი გაიგლიან ოთახზე.

ანია. აქ შემობრძანდით. დედა, გახსოვთ, ეს რა ოთახია?

ლიუბ. ანდ. (*გახარებული და ცრემლმორეული*). ბავშვების ოთახი!

ვარია. როგორ ცივა, ხელები გამეთოშა. (*ლიუბოვ ანდრეევნას*). თქვენი თეთრი და იისფერი ოთახები, დედიკო, ისევ ისეა, როგორც იყო.

ლიუბ. ანდ. ბავშვების ოთახი. ჩემი საყვარელი, ლამაზი ოთახი... აქ მეძინა, პატარა რომ ვიყავი... (*ტირის*). ახლაც თითქოს პატარა ვარ... (*ჰკოცნის ძმას, ვარიას, შემდეგ ისევ ძმას*). ვარია სულ არ შეცვლილა, მონაზონს ჰგავს. დუნიაშაც ვიცანი. (*ჰკოცნის დუნიაშას*).

გაევი. მატარებელმა მთელი ორი საათი დაიგვიანა. როგორია! რა წესია ეს!

შარლოტა. (*პიშჩიკს*). ჩემი ძაღლი თხილსაც ჭამს.

პიშჩიკი (*გაკვირვებით*). უყურე შენ!

ანიასა და დუნიაშას გარდა ყველანი გავლენ.

დუნიაშა. (*ანიას პალტოს და ქუდს ჩამოართმევს*). როგორ გელოდებოდით...

ანია. გზაში, ოთხი ღამეა, არ მიძინია. გავითოშე.

დუნიაშა. დიდმარხვაში წახვედით. მაშინ თოვდა, ყინავდა, ახლა აღარ! ჩემო საყვარელო! (*იცინის, ჰკოცნის*). როგორ გელოდით, რომ იცოდე, ჩემო კარგო... რაღაც უნდა გითხრა, არ შემიძლია, ვერ ვითმენ.

ანია (*უხალისოდ*). ისევ რაღაც...

დუნიაშა. ეპიხოდოვმა ნაალდგომევს ხელი მოხოვა.

ანია. სულ ერთი და ოგივე... (*თმას ისწორებს*). თმის სამაგრები დავკარგე (*ძალიან დაღლილია, ფეხზე ძლივს დგას*).

დუნიაშა. არ ვიცი, რა ვქნა! ვუყვარვარ, ისე ვუყვარვარ...

ანია (*თავისი ოთახის კარს უცქერის, თითქოს ეფერება*). ჩემი ოთახი, ჩემი ფანჯრები, ასე მგონია, არსადაც არ წავსულვარ. სახლში ვარ! დილით ავდგები და ბაღში გავიქცევი... ოჰ, ნეტავ დამაძინა! მთელი გზა არ მიძინია, ვერ მოვისვენე.

დუნიაშა. სამი დღის წინ პიოტრ სერგეიჩი ჩამოვიდა.

ანია (*გაუხარდება*). პეტია!

დუნიაშა. აბანოში სძინავს, არ მინდა შეგაწუხოთო. (*დახედავს თავის ჯიბის საათს.*) უნდა გამეღვიძებინა, მაგრამ ვარიამ ბრძანა — არ გაღვიძოო.

შემოდის ვარია. გასაღებების ასხმა აქვს ქამარზე ჩამოკიდებული.

ვარია. დუნიაშა, დედიკომ ყავა მოითხოვა. ჩქარა.

დუნიაშა. ახლავე. (*გადის*).

ვარია. მადლობა ღმერთს, ჩამოხვედით. ისევ სახლში ხარ (*ეფერება*). ჩემი საყვარელი გოგო ჩამოვიდა! ჩემი ლამაზი გოგო!

ანია. რამდენი რამ გადავიტანე!

ვარია. წარმომიდგენია.

ანია. ვნების კვირა იყო, რომ წავედი. ციოდა. შარლოტა მთელი გზა არ გაჩუმებულა, ფოკუსებს მიჩვენებდა. შარლოტა რატომ გამაყოლე...

ვარია. შენი მარტო წასვლა როგორ შეიძლება, 17 წლის ხარ.

ანია. პარიზში რომ ჩავედით, იქაც ციოდა, თოვდა. ფრანგული ცუდად ვიცი. დედა მეხუთე სართულზე ცხოვრობდა! რომ მივედი, მასთან ვიღაც ფრანგები იყვნენ, ქალბატონები, მოხუცი პადრე, წიგნით. თამბაქოს კვამლით სავსე ოთახი. ყველაფერი უცხო. დედაჩემი უცებ ისე შემეცოდა, ხელი მოვხვიე და აღარ ვუშვებდი. დედა ტიროდა... თან მეფერებოდა...

ვარია (*ტირის*). რას ამბობ... რას ამბობ!

ანია. მენტონთან რომ აგარაკი იყო, გაეყიდა. იქიდან არაფერი დარჩენოდა, სულ არაფერი. მეც ერთი გროში არ მქონდა, ძლივს ჩავაღწიეთ. დედას ვერ გააგებინებ, სადგურში რესტორანში რომ შევდიოდით, უკვეთავდა ყველაფერს ძვირიანს... ოფიციანტებსაც ჩუქნიდა... შარლოტაც ასე იქცევა, იაშაც, საშინელებაა. დედას რომ ლაქია ჰყავს, იაშა, თან წამოვიყვანეთ.

ვარია. ვნახე ის თავხედი!

ანია. აქ რა ხდება? გადაიხადეთ პროცენტები?

ვარია. რას ამბობ?!

ანია. ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!..

ვარია. აგვისტოში მთელი მამული გაიყიდება...

ანია. ღმერთო ჩემო!

ლოპახინი (*კარში შემოიხედავს, ზმუის*). მუ... უ... (*გადის*).

ვარია (*აცრემლებული*). ოჰ, ერთს ისეთს ვლეწავდი, რომ... (*მუშტს უღერებს*).

ანია (*ვარიას მოეხვევა, ხმადაბლა ამბობს*). ვარია, მაგან გთხოვა ხელი? (*ვარია უარის ნიშნად თავს გაიქნევს*). აკი უყვარხარ... რაღას ელოდებით?

ვარია ვფიქრობ, არაფერი გამოვა. ბევრი საქმე აქვს, ჩემთვის სად სცალია... თითქოს არც ვარსებობ. ღმერთმა კარგად ამყოფოს, მაგის დანახვაც არ მინდა... ყველა ჩვენს ქორწინებაზე ლაპარაკობს, ყველა მილოცავს. სინამდვილეში არაფერი ხდება. თითქოს სიზმარია. (*სხვა კილოთი*). შენი ქინძისთავი ფუტკარს ჰგავს.

ანია (*ნაღვლიანად*). დედამ მიყიდა. (*შედის თავის ოთახში. ლაპარაკობს მხიარულად, ბავშვურად*). პარიზში საჰაერო ბუშტით ვიფრინე!

ვარია. ჩემი ლამაზი გოგო ჩამოვიდა!

დუნიაშა დაბრუნდა. ყავას ამზადებს.

ვარია (*დგას ანიას კართან*) მთელი დღე თან საქმეს ვაკეთებ, თან ვოცნებობ, ერთი შენი თავი გამათხოვებინა ვინმე მდიდარ კაცზე, დაგწყნარდებოდი, წავიდოდი ჩემთვის უდაბნოში, მერე კიევში... მოსკოვში, მოვიარ-ლიდი წმიდა ადგილებს... ვივლიდი და ვივლიდი. რა კარგი იქნებოდა.

ანია. ბაღში ჩიტები გალობენ. რომელი საათია?

ვარია. სამი დაიწყო, ალბათ. უნდა დაიძინო, ჩემო კარგო! (*შედის ანიასთან*).

შემოდის იაშა, მოაქვს ჭლეკი და სამგზავრო კალათა.

იაშა (*თავაზიანად*). შეიძლება აქ გავიაროთ?

დუნიაშა. იაშა, ძლივს გიცანი, როგორი გამხდარხარ საზღვარგარეთ...

იაშა. ჰმ... თქვენ ვინ ბრძანდებით?

დუნიაშა. აქედან რომ გაემგზავრეთ, მაშინ აი ამხელა ვიყავი... (*უჩვენებს*). დუნიაშა ვარ, ფიოდორ კაზაედოვის ქალიშვილი.

იაშა. რა ქორფა ხარ! (*მიიხედ-მოიხედავს და მოეხვევა, დუნიაშა შეჰკივლებს, ხელიდან ლამბაქი გაუვარდება. იაშა სასწრაფოდ გადის*).

ვარია (*გამოდის და უკმაყოფილო კილოთი*). რა იყო, რა მოხდა?

დუნიაშა (*ცრემლმორეული*). ლამბაქი გამიტყდა...

ვარია. კარგი ნიშანია.

ანია (*თავისი ოთახიდან გამოდის*). დედა გავაფრთხილოთ: პეტია რომ აქ არის...

ვარია. მე ვუბრძანე, არ გააღვიძონ.

ანია (*თავისთვის*). ექვსი წლის წინ მამა გარდაიცვალა, ერთი თვის მერე მდინარეში ჩემი ძმა გრიშა დაიხრჩო. რა კარგი

ბიჭი, შვიდი წლის!. დედამ ვერ გადაიტანა. წავიდა. ისე გაიქცა, უკან არ მოუხედავს... ოჰ, რომ იცოდეს, როგორ მესმის მისი!

პაუზა

პეტია ტროფიმოვი გრიშას მასწავლებელი იყო, შეიძლება მოაგონოს...

შემოდის ფირსი, პიჯაკი და თეთრი ჟილეტი ჩაუცვამს.

ფირსი *(ფუსფუსებს ჩიდანთან).* ქალბატონი აქ მიირთმევს... (*აცვამს თეთრ ხელთათმანებს*). ყავა მზად არის? (*დუნიაშას მკაცრად*). დუნიაშა! ნაღები?!

დუნიაშა ღმერთო ჩემო! (*საჩქაროდ გადის*).

ფირსი. (*ფუსფუსებს მავიდასთან*). ო, შე დოყლაპია, შე... (*ბურტყუნებს თავისთვის*). ჩამოვიდნენ პარიზიდან... ბატონიც ბრძანდებოდა ოდესღაც პარიზში... ცხენებით... (*იცინის*).

ვარია. რას ლაპარაკობ, ფირს?

ფირსი. რა მიბრძანეთ? ჩემი ქალბატონი ჩამობრძანდა! მოვესწარი! ახლა შემიძლია მოვკვდე კიდეც... (*სიხარულისაგან ტირის*).

შემოდიან ლიუბოვ ანდრეევნა, გაევი, ლოპახინი, სიმეონოვ-პიშჩიკი. სიმეონოვ-პიშჩიკს აცვია თხელი მაუდის ხიფთანი და შარვალი. გაევი შემოსვლისას ხელებს და სხეულს ისე ამოძრაგებს, თითქოს ბილიარდს თამაშობს.

ლიუბ. ანდ. როგორ არის? დაიცა, გავიხსენო... ყვითელი კუთხეში! დუბლეტი შუაში!

გაევი. ვჭრი კუთხეში! ოდესღაც, დაო, მე და შენ ამ ოთახში გვეძინა. ახლა უკვე ორმოცდათერთმეტი წლისა ვარ. რა უცნაურიც არ უნდა იყოს...

ლოპახინი. დიახ, დრო გადის.

გაევი. ვისაო?

ლოპახინი. დრო გადის-მეთქი.

გაევი. აქ პაჩულის სურნელი დგას.

ანია. მე წავალ, დავიძინებ. ღამე მშვიდობის, დედა. (ჰკოცნის დედას).

ლიუბ. ანდ. ჩემო პატარა! (*უკოცნის ხელებს*). გიხარია შინ დაბრუნება? მე ჯერ გონს ვერ მოვსულვარ.

ანია. ღამე მშვიდობის, ძია!

გაევი (*უკოცნის სახეს, ხელებს*). ღმერთი შეგეწიოს, როგორ გავხარ დედაშენს! შენ, ლიუბა, მაგის ასაკში ზუსტად ასეთი იყავი.

ანია ხელს ჩამოართმევს ლოპახინს და პიშჩიკს, გადის და კარს მიხურავს.

ლიუბ. ანდ. დაიღალა ძალიან.

პიშჩიკი. გზა ალბათ გრძელი იყო.

ვარია (*ლოპახინს და პიშჩიკს*). რაღას უცდით, ბატონებო? მესამე საათია, დროა უკვე.

ლიუბ. ანდ. (*იცინის*). ისევ ისეთი ხარ, ვარია. (*თავისკენ მიიზიდავს და აკოცებს*). აი, დავლევ ყავას და ყველანი წავალთ.

ფირსი შეხებქვეშ ბალიშს დაუდებს.

გმადლობ, ჩემო კარგო. ყავას შევეჩვიე. დღისითაც ვსვამ და ღამითაც. გმადლობ, ჩემო მოხუცო! (*კოცნის ფირსს*).

ვარია. ვნახავ, ბარგი მოიტანეს თუ არა... (*გადის*).

ლიუბ. ანდ. ნუთუ ეს მე ვარ, რომ ვზივარ? (*იცინის*). მინდა, წამოვხტე, ვირბინო, ხელები ვიქნიო. (*სახეზე ხელებს აიფარებს*). ხომ არ მძინავს! ღმერთია მოწმე, მიყვარს ჩემი სამშობლო. ძალიან მიყვარს, მატარებლიდან ვერ ვუცქერდი, სულ მეტირებოდა. (*ცრემლი მოადგება*). ყავა მაინც უნდა დავლიო. დიდი მადლობა, ფირს, ჩემო ბებერო. მიხარია, რომ ცოცხალი ხარ.

ფირსი*. გუშინწინ...

გაევი*. ყურს აკლია.

ლოპახინი*. აი ახლა, დილის ხუთ საათზე ხარკოვში მივდივარ. ვწუხვარ! მინდოდა ცოტა ხანს კიდევ ვყოფილიყავი თქვენთან. გვესაუბრა. ისევ ისეთი მშვენიერი ხართ.

პიშჩიკი (*ძმიმედ სუნთქავს*). გალამაზებულა კიდეც... პარიზულად აცვია... ეხ!

ლოპახინი*. თქვენი ძმა, ლეონიდ ანდრეიჩი, ჩემზე ამბობს, ერთი ტუტუცი ვინმეაო, სხვისი შრომით გამდიდრებულიო.

ჩემთვის სულერთია. ილაპარაკოს. მხოლოდ ის მინდა, რომ თქვენ ძველებურად გჯეროდეთ ჩემი, რომ თქვენი საოცარი, სიკეთით სავსე თვალები ისევ ისე შემომცქეროდნენ, როგორც უწინ. ღმერთო დიდებულო! მამაჩემი თქვენი პაპისა და მამის ყმა იყო, მაგრამ თქვენ, პირადად თქვენ, ოდესღაც იმდენი რამ გამიკეთეთ, რომ მე ყველაფერი დავივიწყე და როგორც ახლობელი, ისე მიყვარხართ, არა, ახლობელზე უფრო მეტად.

ლიუბ. ანდ. არ შემიძლია ერთ ადგილზე ჯდომა... ვერა. (*წამოხტება და ძალზე აღელვებული დადის).* ამ სიხარულს ვერ ვუძლებ. დამცინეთ, ჰო, სულელი ვარ... ჩემო საყვარელო კარადა... (*ჰკოცნის კარადას*). ჩემო პატარა მაგიდა...

გაევი. შენს არყოფნაში ჩვენი ძიძა გარდაიცვალა.

ლიუბ. ანდ. (*ჯდება, ყავას სვამს*). ჰო. ღმერთმა აცხონოს. მომწერეს.

გაევი. ანასტასიც მოკვდა. ბრუციანმა პეტრუშკამ მიმატოვა და ახლა ქალაქში ცხოვრობს, პრისტავთან. *(ჯიბიდან შაქარყინულის ამოიღებს და წუწნის).*

პიშჩიკი. ჩემმა ქალიშვილმა დაშენკამ მოგიკითხათ.

ლოპახინი. მინდოდა რაღაც ძალიან კარგი, სასიამოვნო მეთქვა. (*საათს დახედავს).* უნდა წავიდე, საუბრის დრო აღარ არის... ორი-სამი სიტყვით მაინც გეტყვით. უკვე იცით, რომ თქვენი ალუბლის ბაღი ვალში იყიდება, 22 აგვისტოს დანიშნულია აუქციონი. ამაზე არ ინერვიულოთ, ჩემო ძვირფასო, იძინეთ მშვიდად, გამოსავალი არის... აი, ჩემი პროექტი. თქვენი მამული ქალაქთან ახლოს მდებარეობს, რკინიგზაც აქვე გაიყვანეს. ალუბლის ბაღი და მდინარის მიმდებარე მიწა საგარაკო ნაკვეთებად რომ დაყოთ და იჯარით გასცეთ, წელიწადში,სულ ცოტა, ოცდახუთ ათასს აიღებთ.

გაევი. დიდი ბოდიში, რა სისულელეა!

ლიუბ. ანდ. უკაცრავად, ვერ გავიგე, რა ბრძანეთ!

ლოპახინი. მოგარაკეებისგან წელიწადში ოცდახუთი ათასი შეგიძლიათ აიღოთ! თითო დესეტინაში. ახლავე თუ გამოაცხადებთ, გარწმუნებთ, შემოდგომამდე თავისუფალი ნაკვეთი არ დაგრჩებათ, დაიტაცებენ. მოკლედ, გილოცავთ, გადარჩენილი ხართ. ადგილმდებარეობა მშვენიერია, მდინარე ღრმაა. ოღონდ, რა თქმა უნდა, საჭიროა აქაურობის

გაწმენდა, გასუფთავება. უნდა დაინგრეს ძველი შენობები, აი ეს სახლიც. ადარ ვარგა. ალუბლის ბაღი უნდა გაიჩეხოს.

ლიუბ. ანდ. გაიჩეხოს? ჩემო კარგო, ნუ გეწყინებათ და თქვენ არაფერი გესმით. მთელს გუბერნიაში თუკი რამ არის საინტერესო, არა, ღირსშესანიშნავი, ეს მხოლოდ ჩვენი ალუბლის ბაღია.

ლოპახინი. ღირსშესანიშნავი ამ ბაღს მხოლოდ ისა აქვს, რომ ძალიან დიდია. ალუბალი კი ორ წელიწადში ერთხელ მოდის და აღარავინ ყიდულობს.

გაევი. ეს ბაღი „ენციკლოპედიურ ლექსიკონშია“ შეტანილი.

ლოპახინი (*საათს დახედავს*). თუ ვერაფერი მოვიფიქრეთ და გამოსავალი არ მოვძებნეთ, 22 აგვისტოს ალუბლის ბაღი და მთელი თქვენი მამული საჯარო ვაჭრობით გაიყიდება. გადაწყვიტეთ რა! სხვა გამოსავალი არ არის. გეფიცებით, არ არის. არა და არა.

ფირსი. უწინდელ დროში, ორმოცი-ორმოცდაათი წლის წინათ, ალუბალს ახმობდნენ, ამწნილებდნენ, მურაბას ადუღებდნენ, და ზოგჯერ...

გაევი. გაჩუმდი, ფირს!

ფირსი. ზოგჯერ, ალუბლის კერეს ფუთობით აგზავნიდნენ მოსკოვსა და ხარკოვში. რა ფული შემოდიოდა! ალუბლის კერკი რბილი იყო, წვნიანი, ტკბილი, სურნელოვანი... იცოდნენ ამის ხერხი...

ლიუბ. ანდ. ახლა სადაა ეს ხერხი?

ფირსი. დააგიწყდათ. აღარავის ახსოვს.

პიშჩიკი (*ლიუბოვ ანდრეევნას*). პარიზში რა ხდება? ბაყაყი მიირთვით?

ლიუბ. ანდ. ნიანგი მივირთვი!

პიშჩიკი. უყურე შენ!

ლოპახინი. ადრე სოფელში მხოლოდ ბატონები და გლეხები იყვნენ, ახლა მოაგარაკეები გაჩნდნენ. ყველა ქალაქი, სულ პატარაც კი, აგარაკებით არის გარშემორტყმული. ოც წელიწადში მოაგარაკეთა რიცხვი წარმოუდგენლად გაიზრდება. ის ახლა მხოლოდ ჩაის სვამს თავის აივანზე, მაგრამ ხომ შეიძლება, მის კუთვნილ დესეტინაზე მეურნეობაც გაიჩინოს, აი მაშინ თქვენი ალუბლის ბაღი გამშვენიერდება, ბარაქიანი და საუცხოო გახდება.

გაევი. (აღშფოთებული). რა სისულელეა!

შემოდიან ვარია და იაშა.

ვარია. დედიკო, თქვენს სახელზე ორი დეპეშა მოვიდა. (*აარჩევს ვასაღებს და აღებს კარადას, კარადა ძველია და ჭრიალებს*). აი ნახეთ.

ლიუბ. ანდ. პარიზიდან! (*დახედავს დეპეშას*). პარიზი აღარ მაინტერესებს.

გაევი. იცი, ლიუბა, ეს კარადა რამდენი წლის არის? ერთი კვირის წინ ქვედა უჯრა გამოვწიე, ვხედავ, ციფრებია ამომწვარი. ზუსტად ასი წლის წინათ გაუკეთებიათ. როგორია, ა? შეგვეძლო იუბილეც გადაგვეხადა. უსულო საგანია, მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, წიგნის კარადაა.

პიშჩიკი (*გაოცებით*). ასი წელიწადი... უყურე შენ!

გაევი. დიახ... მშვენიერი რამაა! (***ხელს შეახებს კარადას***) ძვირფასო, ღრმად პატივცემულო კარადა! მივესალმები შენს არსებობას, რომელიც უკვე ას წელზე მეტია სიკეთისა და სამართლიანობის ნათელ იდეალებს ემსახურება, შენი მდუმარე მოწოდება ნაყოფიერი მუშაობისკენ ასი წელია არ შესუსტებულა. (*ცრემლი მოადგება*). ჩვენი ოჯახის თაობებს უნერგავდი სიმხნეევს, უკეთესი მომავლის რწმენას, ამკვიდრებდი ჩვენში სიკეთისა და საზოგადოებრივი თვითშეგნების იდეალებს.

პაუზა

ლოპახინი. დიახ...

ლიუბ. ანდ. ისევ ისეთი ხარ, ლეონიდ.

გაევი. მარჯვენა კუთხეში ვურტყამ! ვჭრი შუაში!

ლოპახინი. ***(დახედავს საათს)***. ჩემი წასვლის დროა.

იაშა (*ლიუბოვ ანდრეევნას წამალს აწოდებს*). წამლის მიღების დროა.

პიშჩიკი. ძვირფასო, ნუ იღებთ ამდენ მედიკამენტს. მაგათ არც ზიანი მოაქვთ და არც ხეირი... მიბოძეთ აქ... (*აიღებს აბებს, დაიყრის ხელის გულზე, ერთიანად გადაყლაპავს და თან ბურახს დააყოლებს*). აი ასე!

ლიუბ. ანდ. (*შეშინებული*). გავიქცეთ!
პიშჩიკი. ყველა აბი მივიღე.
ლოპახინი. რა უბედურებაა!

იცინიან.

ფირსი. ეგ რა არის. აღდგომაზე ჩვენთან ბრძანდებოდა და ნახევარი ვედრო კიტრი მიირთვა... *(რაღაცას ბურტყუნებს).*
ლიუბ. ანდ. რას ლაპარაკობს?
ვარია. სამი წელია ასე ბურტყუნებს. მივეჩვიეთ.
იაშა. ძალიან დაბერდა.

შარლოტა, თეთრ კაბაში გამოწყობილი, გაივლის სცენაზე. ძალზე გამხდარია, წელზე ლორნეტი ჰკიდია.

ლოპახინი. უკაცრავად, ქალბატონო შარლოტა, ვერ მოვახერხე მოგსალმებოდით. (*ხელზე კოცნას ცდილობს*).
შარლოტა (*ხელს წაართმევს*). თქვენ რომ ხელზე კოცნის უფლება მოგცეთ, შემდეგ მოინდომებთ იდაყვზე კოცნას, შემდეგ მხარზე და...
ლოპახინი. დღეს ბედი არ მწყალობს.

იცინიან.

ქალბატონო შარლოტა, ფოკუსი მაინც გვიჩვენეთ.
ლიუბ. ანდ. შარლოტა, უჩვენეთ ფოკუსი!
შარლოტა. საჭირო არ არის. მე დაძინება მსურს. (*გადის*).
ლოპახინი. სამი კვირის მერე შევხვდებით. (*ლიუბოვ ანდრეევნას ხელზე ჰკოცნის*). მშვიდობით. უკვე დროა. (*გაევს*) ნახვამდის. (*პიშჩიკს ემთხვევა).* ნახვამდის. (*ხელს ართმევს ვარიას, შემდეგ ფირსსა და იაშას*). როგორ არ მინდა წასვლა. (*ლიუბოვ ანდრეევნას*). აგარაკების თაობაზე თუ რამეს გადაწყვეტთ, შემატყობინეთ. სესხად ორმოცდაათ ათასს გიშოვნით. კარგად დაფიქრდით.
ვარია. (*გაჯავრებული*) აღარ წახვალთ?!
ლოპახინი. მივდივარ... მივდივარ... (*გადის*).
გაევი. ბრიყვი. თუმცა... პარდონ. ვარია მაგას ცოლად მიჰყვება, ვარიას საქმრია.

ვარია. ზედმეტს ლაპარაკობ, ძია!

ლიუბ. ანდ. თუ ასეა, ძალიან გამეხარდება, ვარია. კარგი კაცია.

პიშჩიკი. ნამდვილად ღირსეული ადამიანია... ჩემი ქალიშვილიც ამბობს... ბევრ რამეს ამბობს. (*ხვრინავს, მავრამ მაშინვე გამოეღვიძება*). ჩემო ძვირფასო, ორას ორმოცი მანეთი უნდა მასესხოთ, ხვალ გირავნობის პროცენტი მაქვს გადასახდელი...

ვარია (*შეშინებული*). არა გვაქვს, არა.

ლიუბ. ანდ. მართლა არაფერი მაქვს.

პიშჩიკი. გამოჩნდება რამე. (*იცინის*). იმედს არასოდეს არ ვკარგავ. რომ მგონია, მორჩა, ცუდადაა საქმე, გაიხედავ და აგერ რკინიგზა არ გაიყვანეს ჩემს მიწაზე?.. გადამიხადეს. იქით კიდევ გაიხედავ და რამე მოხდება, ან დღეს, ან ხვალ... ორას ათასს მოიგებს ჩემი დაშენკა... ლატარიის ბილეთი აქვს.

ლიუბ. ანდ. ყავა დავლიე, ახლა შეგვიძლია დავიძინოთ.

ფირსი (*ტანისამოსს უწმენდს გაუვს*). რა არის, რა, ისევ სხვა შარვალი ჩაგიცვამთ.

ვარია (*ხმადაბლა*). ანიას სძინავს. (*ფანჯარას აღებს*). მზე ამოვიდა, აღარ ცივა. შეხედეთ, დედიკო: რა საოცარი ხეებია! ღმერთო, რა ჰაერია! შოშიები უსტვენენ!

გაევი (*გამოაღებს მეორე ფანჯარას*). ბაღი სულ თეთრია. ლიუბა, გახსოვს, აი ეს გრძელი ხეივანი, სულ პირდაპირ რომ მიდის, ლარივით გაჭიმული, მთვარიან ღამეში როგორ ბრწყინავს ხოლმე. გახსოვს?

ლიუბ. ანდ. (*ფანჯრიდან ბაღს გასცქერის*). ჩემი ბავშვობა! უსპეტაკესი! აქ მეძინა, ბავშვების ოთახში. აქედან ვუცქერდი ბაღს. ყოველ დილით ჩემთან ერთად ბედნიერება იღვიძებდა. მაშინაც ზუსტად ასეთი იყო. სულ არ შეცვლილა. თეთრი, თეთრი, ქათქათა! ჩემო ბაღო, ავდრიანი რუხი შემოდგომის და სუსხიანი ზამთრის შემდეგ ისევ ახალგაზრდა ხარ, ბედნიერებით სავსე. ციურმა ანგელოზებმა არ მიგატოვეს. როგორ მოვიცილო ეს მძიმე ლოდი, მკერდზე და გულზე რომ მაწევს, ნეტავ შემეძლოს ჩემი წარსულის დავიწყება...

გაევი. ჰო, და ამ ბაღს ვალში გაყიდიან. რაც არ უნდა უცნაური იყოს.

ლიუბ. ანდ. შეხედეთ, განსვენებული დედა დადის ბაღში... თეთრ კაბაში! (*გახარებული იცინის*). ის არის, ის.

გაევი. სად?

ვარია. რას ამბობთ, დედიკო...

ლიუბ. ანდ. არა, არავინ არის. მომეჩვენა. აი იქ, მარჯვნივ, ფანჩატურთან, თეთრი ხეა გადახრილი, ქალს მიაგავდა...

შემოდის ტროფიმოვი, სტუდენტის გაცვეთილი მუნდირი აცვია და სათვალე უკეთია.

საოცარი ბაღია! ამდენი თეთრი ყვავილი, ლურჯი ცა...

ტროფიმოვი. ლიუბოვ ანდრეევნა!

ლიუბოვ ანდრეევნამ ტროფიმოვს შეხედა.

ტროფიმოვი. მე მხოლოდ თავს დაგიკრავთ და წავალ. (*მხურვალედ ჰოცნის ხელზე*). მიბრძანეს, დილამდე დამეცადა, ვერ მოვითმინე.

ლიუბოვ ანდრეევნამ ვერ იცნო.

ვარია: პეტიაა, ტროფიმოვი.

ტროფიმოვი. პეტია გახლავართ, თქვენი გრიშას ყოფილი მასწავლებელი... ნუთუ ასე შეგიცვალე? (*ლიუბოვ ანდრეევნა მოეხვევა და ნელა ტირის*).

გაევი (*შეწუხებული*). კარგი რა, ლიუბა.

ვარია (*ტირის*). ხომ გეხოვეთ, პეტია, მოგეცადათ ხვალამდე.

ლიუბ ანდ. ჩემი გრიშა... ჩემი ბიჭი... გრიშა... ჩემი შვილი...

ვარია. რას იზამ! ყველაფერი ღვთის ნებაა, დედიკო.

ტროფიმოვი. (*გული აუჩუყდება*). დაწყნარდით...

ლიუბ. ანდ. (*ჩუმად ტირის*). დაიღუპა ბიჭი. დაიხრჩო. რატომ... რისთვის, ჩემო მეგობარო, (*ხმადაბლა*). ანიას სძინავს, მე კი ხმამაღლა ვლაპარაკობ... რა ამბავი ავტეხე... პეტია, რა დაგემართათ, რას დაემსგავსეთ, ასე როგორ დაბერდით?

ტროფიმოვი. მატარებელში ერთმა ქალმა ჩემზე თქვა: „ის გაქუცული ბატონიო“.

ლიუბ. ანდ. სულ ახალგაზრდა იყავით. სტუდენტი. თმა გაგცვენიათ, სათვალე გიკეთიათ. ნუთუ ისევ სტუდენტი ხართ? (*კარისკენ მიდის*).

ტროფიმოვი. ეტყობა, მარადი სტუდენტი ვიქნები.

ლიუბ. ანდ. (*ჰკოცნის ძმას, შემდეგ ვარიას*). ახლა წადით და დაიძინეთ... შენც კარგად დაბერებულხარ, ლეონიდ.

პიშჩიკი. (*მიჰყვება ლიუბოვ ანდრეევნას*) მაშ დავიძინოთ?.. ოჰ, ეს ჩემი ნიკრისის ქარი... თქვენთან დავრჩები... მხოლოდ... ძვირფასო, საყვარელო... დილით ორას ორმოცი მანეთი მჭირდება.

გაევი. ო, ეს ისევ თავისას გაიძახის.

პიშჩიკი. ორას ორმოცი... პროცენტია გადასახდელი.

ლიუბ. ანდ. ფული არა მაქვს, ჩემო კარგო.

პიშჩიკი. დაგიბრუნებთ, საყვარელო... არც ისე დიდი თანხაა.

ლიუბ. ანდ. კარგი, კარგი... აგერ ლეონიდი მოგცემს. მიეცი, ლეონიდ.

გაევი. როგორ არა, ახლავე მივართმევ!

ლიუბ. ანდ. აბა რა ვუყოთ... მიეცი... სჭირდება... დაგიბრუნებს. (*ლიუბოვ ანდრეევნა, ტროფიმოვი, პიშჩიკი და ფირსი გავლენ. რჩებიან გაევი, ვარია და იაშა*).

გაევი. ჩემი და ვერ გადაეჩვია ფულის ფლანგვას. (*იაშას*). გაიწი იქით, თუ შეიძლება, ქათმის სუნი გიდის.

იაშა (*დაცინვით*). ლეონიდ ანდრეიჩ, ზუსტად ისეთი ხართ, როგორიც იყავით.

გაევი. ვისაო? (*ვარიას*). რა თქვა?

ვარია. (*იაშას*) დედაშენი ჩამოვიდა სოფლიდან, ორი დღეა გელოდება, შენი ნახვა უნდა.

იაშა. აი დარდი.

ვარია. არც კი გრცხვენია!

იაშა. გააწყალა გული! ხვალ ვერ მოვიდოდა? (*ვადის*).

ვარია. დედიკო ისევ ისეთია, რომ მიუშვა, ყველაფერს სხვებს დაურიგებს.

გაევი. დიახ...

პაუზა

რაიმე დაავადების წინააღმდეგ თუ ბევრი წამალი არსებობს, იმას ნიშნავს, რომ დაავადება არ იკურნება. სულ ვფიქრობ, გამოსავალს ვეძებ, ასე მგონია, ბევრი საშუალება მაქვს, ძალიან ბევრი. ესე იგი არცერთი არა მაქვს. კარგი იქნებოდა,

ვინმესგან მემკვიდრეობა მიგვეღო, კარგი იქნებოდა, ანია მდიდარი კაცისთვის მიგვეთხოვებინა. კარგი იქნებოდა, დეიდაჩემთან წავსულიყავი, გრაფინიასთან, იაროსლავში, ბედი მეცადა. დეიდა ხომ ძალიან, ძალიან მდიდარია.

ვარია. (*ტირის*) ღმერთო, შენ გვიშველე.

გაევი. ნუ ღრიალებ! დეიდა მდიდარია, მაგრამ ჩვენ არ ვუყვარვართ, რადგან ჩემი და უბრალო ჩინოვნიკს გაჰყვა ცოლად, თანაც მდაბიოს...

კარში ანია გამოჩნდება.

დიახ. მდაბიოს გაჰყვა და ვერ იტყვი, რომ უმწიკვლოდ ცხოვრობდა. კარგია, კეთილია, ძალიან მიყვარს, მაგრამ, რაც არ უნდა გამოვიგონო შემამსუბუქებელი გარემოებები, უნდა ვაღიარო, ცოდვილია. მის მოძრაობაშიც კი იგრძნობა ეს.

ვარია (*ჩურჩულით*). კარში ანია დგას.

გაევი. ვისაო?

პაუზა

საკვირველია, მარჯვენა თვალში რაღაც ჩამივარდა... ცუდად ვხედავ. ჰოდა, ხუთშაბათს, საოლქო სასამართლოში რომ ვიყავი...

შემოდის ანია.

ვარია. რატომ არ გძინავს, ანია?

ანია. არ მეძინება.

გაევი. ჩემი პატარა. (*ჰკოცნის ხელებზე, ლოყაზე*) ჩემი გოგო... შენ დისწული არა ხარ, ჩემი ანგელოზი ხარ, ჩემი ყველაფერი... დამიჯერე, დამიჯერე.

ანია. მჯერა, ძია, მჯერა. შენც ყველას უყვარხარ, პატივს გცემენ... მაგრამ, ძია, ძვირფასო, ჩუმად უნდა იყო, ჩუმად. რას ამბობდი წეღან დედაჩემზე? შენს დაზე? რატომ უნდა თქვა ეს?

გაევი. ჰო, ჰო... (*სახეზე ხელებს აიფარებს*). მართლაც საშინელებაა! ღმერთო, შენ დამიფარე! დღეს კიდევ კარადას

სიტყვით მივმართე... რა სისულელე იყო. დავასრულე და მაშინვე მივხვდი, რომ სისულელე იყო.

ვარია. ჰო, ძია, იყავით ჩუმად თქვენთვის.

ანია. ასე უფრო წყნარად იქნები.

გაევი. ჩუმად ვარ (*ანიას და ვარიას ხელებს უკოცნის*). ჩუმად. მხოლოდ საქმეზე გეტყვით. ხუთშაბათს საოლქო სასამართლოში ვიყავი, ნაცნობ-მეგობრები ვნახე, ვისაუბრეთ ამაზე, იმაზე, და მგონია, მოხერხდეს თამასუქით სესხის აღება. ბანკის პროცენტს გადავიხდით.

ვარია. ღმერთო, შენ გვიშველე!

გაევი. სამშაბათს წავალ და კიდევ ერთხელ მოვილაპარაკებთ. (*ვარიას*). ნუ ღრიალებ, რა... (*ანიას*). დედაშენი ლოპახინს დაელაპარაკება. ის, რასაკვირველია, უარს არ ეტყვის... შენ კი, როცა დაისვენებ, წახვალ იაროსლავში, ბებიაშენთან. სამივე მხრიდან ვიმოქმედოთ და საქმე კარგად იქნება. პროცენტებს გადავიხდით... (*პირში შაქარყინულს ჩაიდებს*). სინდისს გეფიცებით, ყველაფერს გეფიცებით, მამული არ გაიყიდება. (*აღტაცებული*). აი ნახეთ, საქმე საჯარო ვაჭრობამდე თუ მივიყვანთ. შემიძლია დავიფიცო!

ანია (*გახარებული*). კარგი ხარ, ძია, ჭკვიანი ხარ! (*მოეხვევა*). უკვე დავწყნარდი! რა ბედნიერი ვარ!

შემოდის ფირსი.

ფირსი (*საყვედურით*). ლეონიდ ანდრეიჩ, ღმერთი არა გწამთ, როდისღა უნდა დაიძინოთ?

გაევი. ახლავე, ახლავე. წადი, ფირს, როგორმე თვითონ გავიხდი. აბა, ბავშვებო, დაიძინეთ!.. დანარჩენი დეტალები ხვალ. (*ჰკოცნის ანიას და ვარიას*). მე ოთხმოციანი წლების კაცი ვარ. იმ წლებს არ აქებენ, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, ჩემი შეხედულებების გამო ცხოვრებაში ბევრჯერ მომხვდა. გლეხებს ტყუილად კი არ ვუყვარდი... გლეხი უნდა იცოდე, ვინ არის! ისიც იცოდე...

ანია. ისევ დაიწყე, ძია!

ვარია. ძია!

ფირსი. (*გაჯავრებული*). ლეონიდ!

გაევი. მოვდივარ, მოვდივარ... დაწექით! დუპლეტით შუაში! *(ვადის, მას ფირსი მიჭყვება).*

ანია. ახლა დავმშვიდდი. იაროსლავში წასვლა არ მინდა, ბებია არ მიყვარს, მაგრამ რატომღაც დავწყნარდი. მადლობა ძიას. (*ჯდება*).

ვარია. ძილის დროა, წავედი, ჰო. უშენოდ აქ რა ამბები მოხდა, რომ იცოდე, ჩვენი მოხუცი მსახურები ხომ იცი, ეფიმი, პოლია, ევსტიგნეი და კარპი: უცხო ხალხი მოყავდათ და ღამეს ათევინებდნენ. ამაზე ხმა არ ამომიღია, მაგრამ როცა ჭორები დამიყარეს, თითქოს ჩემი ბრძანებით მათ მუხუდოს გარდა არაფერს აჭმევდნენ... თითქოს ასეთი ძუნწი ვარ! ევსტიგნეის საქმე იქნება ეგ... დავუძახე და ვეუბნები... შე სულელო... (*მუხუდავს ანიას*). ანია..

პაუზა

წავიდეთ, დავწვეთ.

შორიდან ისმის სალაშურის ხმა. შემოდის ტროფიმოვი. დაინახავს ვარიას და ანიას.

ვარია. ჩჩჩ! სძინავს... სძინავს... წავიდეთ, საყვარელო...

ანია: (*ძალბურანში*) როგორ დავიღალე... ზანზალაკები წკრიალებენ... ძია კარგია, ძიაც... დედაც...

ვარია: წამო, ჩემო კარგო... წამო... (*ვადიან*).

ტროფიმოვი: (*ვულაჩუყებით*) ჩემი სიხარული! ჩემი გაზაფხული!

ფარდა

მეორე მოქმედება

მინდორი. ძველი, მიტოვებული სამლოცველო, მის ახლოს ჭა. დიდი ლოდები, ალბათ ოდესღაც საფლავის ქვები იყო, და ძველი მერხი. მიჩანს გზა გაევის მამულისაკენ. შორს, აშოლტილი ალვის ხეებია, საიდანაც იწყება ალუბლის ბაღი. მოშორებით ტელეგრაფის ბოძების მწკრივია. შორს, შორს ჰორიზონტზე ბუნდოვნად ისახება დიდი ქალაქი, რომელიც მხოლოდ კარგ ამინდში მოჩანს. მზე ჩადის, შარლოტა, იაშა და დუნიაშა სხედან მერხზე; ეპიხოდოვი იქვე დგას და გიტარას უკრავს; ყველანი ფიქრს მისცემიან. შარლოტას ძველი, კეპიანი ქუდი ახურავს. მხრიდან თოფი ჩამოუღია და ღვედის შესაკრავს ასწორებს.

შარლოტა (*ფიქრში*). არა მაქვს ნამდვილი პასპორტი. არ ვიცი, რამდენი წლისა ვარ და სულ მგონია, რომ ახალგაზრდა ვარ. პატარა გოგო რომ ვიყავი, მამაჩემი და დედაჩემი დადიოდნენ ქალაქიდან ქალაქში და მოედნებზე წარმოდგენებს მართავდნენ. მხიარულ წარმოდგენებს. მე სალტო-მორტალეს და რაღაცეებს ვაკეთებდი. როცა მამაც გარდაიცვალა და დედაც, მერე ერთმა გერმანელმა ქალბატონმა წამიყვანა. მასწავლა. ასე იყო. გამზარდა, შემდეგ გუვერნანტად წავედი. საიდან ვარ, ვინ ვარ, არ ვიცი. ან ჩემი მშობლები ვინ იყვნენ, იქნებ ჯვარიც არ ჰქონდათ დაწერილი... არ ვიცი. (*ჯიბიდან კიტრს ამოიღებს და ჭამს*). არაფერი არ ვიცი.

პაუზა

როგორ მინდა ვესაუბრო ვინმეს... ვის... არავინ არა მყავს.

ეპიხოდოვი (*გიტარაზე უკრავს და მღერის*).
„რას დავეძებ აურზაურს ქვეყნისას,
რას დავეძებ, მტრები მყავს თუ მოყვრები“... კარგი რამეა მანდოლინა!

დუნიაშა. ეგ გიტარაა და არა მანდოლინა. (სარკეში იხედება და პუდრს ისვამს).

ეპიხოდოვი. იმისთვის, ვინც სიყვარულმა გააგიჟა, ეს მანდოლინაა...

(მღერის).
ოღონდ გამიღოს გულის კარები.
ამ სიყვარულში დავიკარგები...

იაშა მიუმღერებს.

შარლოტა. საშინლად მღერის ეს ხალხი... ფუჰ! ტურებივით ჩხავიან.

დუნიაშა (*იაშას).* რა ბედნიერებაა არა, საზღვარგარეთ ყოფნა.

იაშა. რა თქმა უნდა, გეთანხმებით. (*ამოქნარებს, შემდეგ სიგარას უკიდებს*).

ეპიხოდოვი. გასაგებია რატომ. საზღვარგარეთ ყველაფერი სრულ კომპლექციაშია მოყვანილი.

იაშა. რასაკვირველია.

ეპიხოდოვი. განათლებული კაცი ვარ, ვკითხულობ სხვადასხვა შესანიშნავ წიგნებს, მაგრამ ვერ გამოვარკვიე ჩემი მიმართულება, რა მინდა, ბოლოს და ბოლოს. ყოფნა თუ თავის მოკვლა. მიუხედავად ამისა, რევოლვერს მუდამ თან ვატარებ. (*რევოლვერს ამოიღებს*). აი!

შარლოტა. მოვრჩი, ახლა წავედი. (*თოფს გადაიკიდებს*). შენ, ეპიხოდოვ, ძალიან ჭკვიანი კაცი ხარ და თან ძალიან საშიში; ქალებს გაგიჟებით ეყვარები. (*მიდის*). ეს ჭკვიანები ყველანი ისეთი სულელები არიან, ვის ველაპარაკო... მარტო ვარ, მარტო, არავინ არა მყავს... ვინ ვარ, რატომ ვარ. არ ვიცი... (*აუჩქარებლად გადის*).

ეპიხოდოვი. არსებითად თუ ვიტყვი და სხვა საკითხებს არ შევეხები, ჩემს შესახებ გამოვთქვამ: ბედი დაუნდობლად მეპყრობა, ვით ქარიშხალი პატარა ხომალდს. თუ, დავუშვათ, ვცდები, მაშ რატომ იყო, რომ დღეს, მაგალითად, გავიღვიძე და ვხედავ, მკერდზე უზარმაზარი ობობა მაზის... აი ამხელა (*უჩვენებს ორივე ხელით*). ბურახის დალევა მომინდება და შიგ უაღრესად უხერხული რამ უნდა ეგდოს, ტარაკანის მსგავსი.

პაუზა

ბოკლი წაგიკითხავთ?

პაუზა

მსურს, ავდოტია ფიოდოროვნა, შეგაწუხოთ, თქვენთან ორიოდე სიტყვა მაქვს სათქმელი.

დუნიაშა. თქვით.

ეპიხოდოვი. სასურველი იქნებოდა, ცალკე... (*ამოიოხრებს*).

დუნიაშა. მაშინ... ჩემი მოსასხამი მომიტანეთ... კარადასთან არის... აქ ცოტა ნესტია...

ეპიხოდოვი. კეთილი... მოგართმევთ... უკვე ვიცი, რისთვის მჭირდება რევოლვერი... (*აიღებს გიტარას, თან უკრავს და თან ვადის*).

იაშა. რა თარსია. ჩვენს შორის დარჩეს და სულელი კაცია. (*ამთქნარებს*).

დუნიაშა. ღმერთმა ნუ ქნას, თავი მართლა მოიკლას.

პაუზა

უჰ, ყველაფერზე როგორ ვღელავ, ვნერვიულობ. ძალიან პატარა ვიყავი, ბატონებმა რომ ამიყვანეს და აქ სულ სხვა ცხოვრებას შევეჩვიე. აი როგორი თეთრი ხელები მაქვს... ქალბატონივით. ნაზი გავხდი, თავაზიანი, კეთილშობილი, ყველაფრის მეშინია... ოჰ როგორ. რომ მომატყუოთ, იაშა, არ ვიცი, რა ეშველება ჩემს ნერვებს

იაშა ქალიშვილმა თავი არასოდეს არ უნდა დაკარგოს. ვერ ვიტან ცუდი ყოფაქცევის ქალებს.

დუნიაშა. შემიყვარდით იაშა, ისეთი განათლებული ხართ, ყველაფერზე მსჯელობთ.

პაუზა

იაშა (ამთქნარებს). ჰოდა, იცი რა... თუ ქალიშვილს ვინმე შეუყვარდა, ის უკვე უწესოა.

პაუზა

სუფთა ჰაერზე სიგარის გაბოლებას არაფერი ჯობია. ვიღაც მოდის... ბატონები არიან.

დუნიაშა სწრაფად მოეხვევა იაშას.

იაშა. ამ გზით წადით, ვითომ მდინარეზე იყავით საბანაოდ, თორემ თუ მოგვისწრეს, ჩემზე იფიქრებენ, რომ პაემანი მქონდა თქვენთან. ვერ ვიტან ასეთ რამეებს

დუნიაშა (*ახვევლებს*). სიგარამ თავი ამატკივა (*გადის*).

იაშა რჩება, სამლოცველოს გვერდით ჩამოჯდება. შემოდიან ლიუბოვ ანდრეევნა, გაევი და ლოპახინი.

ლოპახინი. დრო არ ითმენს. უნდა გადავწყვიტოთ. ამაზე მარტივი რა შეიძლება იყოს. თანახმა ხართ თუ არა, თქვენი მიწა სააგარაკოდ გასცეთ? ერთი სიტყვა: ან ჰო, ან არა. მხოლოდ ერთი სიტყვა!

ლიუბ. ანდ. ვინ ეწევა აქ ამ საშინელ სიგარას?

გაევი. აი, რკინიგზა გაიყვანეს და უკვე კარგია, ქალაქში წავედით, ვისაუზმეთ... ყვითელი შუაში... წავალ სახლში, ერთ ხელს ვითამაშებ...

ლიუბ. ანდ. მოასწრებ.

ლოპახინი. მხოლოდ ერთი სიტყვა! (*ვედრებით*) მიპასუხეთ რამე!

გაევი. (*ამოქნარებს*) ვისაო?

ლიუბ. ანდ. (*ჩასცქერის თავის საფულეს*) გუშინ ბევრი ფული მქონდა, დღეს ცოტა მაქვს. საწყალი ჩემი ვარია, მომჭირნეობის გამო ყველას რძის სუფით ჰკვებავს, სამზარეულოში მოხუცებს მუხუდოს გარდა არაფერს აჭმევენ, (*გულდაწყვეტით*). მე კი უაზროდ ვფლანგავ... (*საფულე ხელიდან უვარდება*). აი, დაიბნა...

იაშა. ნება მიბოძეთ, ახლავე ავკრეფ. (*კრეფს*).

ლიუბ. ანდ. აკრიფეთ, იაშა. რა მინდოდა იქ სასაუზმოდ. აუტანელი იყო ის თქვენი რესტორანი თავისი მუსიკით. სუფრას საპნის სუნი ასდიოდა... შეიძლება ამდენი სმა, ლიონია, ამდენი ჭამა? ამდენი ლაპარაკი?! დღეს რესტორანში ისევ დაიწყე უაზრო ლაპარაკი. სამოცდაათიანი წლებიო, დეკადენტებიო. ვის ელაპარაკები დეკადენტებზე, ლაქიებს?!.

ლოპახინი. დიახ.

გაევი (*ხელს ჩაიქნევს*). ჩემი გამოსწორება აღარ შეიძლება. (*იაშას*). რა არის, სულ თვალში რომ მეჩხირები...

იაშა (*იცინის*). გისმენთ და მეცინება.

გაევი (*დას*). ან ეს, ან მე.

ლიუბ. ანდ. იაშა, დაგვტოვეთ!

იაშა*. (*ლიუბოვ ანდრეევნას აძლევს აკრეფილ ფულს*). ახლავე წავალ. (*ხიცილს ძლივს იკავებს*). ამ წუთას... (*გადის*).

ლოპახინი. თქვენი მამულის ყიდვას დერიგანოვი აპირებს. მდიდარი კაცია. ამბობენ, აუქციონს პირადად დაესწრებაო.

ლიუბ. ანდ. თქვენ საიდან გაიგეთ?

ლოპახინი. ქალაქში ამბობენ.

გაევი*.* იაროსლაველი დეიდა დაგვპირდა, მხოლოდ როდის და რამდენს გამოგზავნის, არ ვიცით...

ლოპახინი. რამდენს გამოგზავნის? ასი ათასს? ორასი ათასს?

ლიუბ. ანდ. ათი-თხუთმეტი ათასი თუ გამოგზავნა, იმაზეც მადლობა უნდა ვთქვათ.

ლოპახინი. მომიტევეთ, ბატონებო, მაგრამ თქვენისთანა უდარდელი და უცნაური ხალხი ჯერ არ მინახავს. გეუბნებიან, თქვენი მამული იყიდება. ნუთუ არ გესმით.

ლიუბ. ანდ. რა ვქნათ, გვასწავლეთ, რა გავაკეთოთ?

ლოპახინი. აბა რას ვაკეთებ, ყოველდღე ერთსა და იმავეს გიმეორებთ. ალუბლის ბაღიც, მიწებიც, აუცილებლად, ახლავე, უნდა გასცეთ იჯარით, სააგარაკოდ. სასწრაფოდ, თორემ აუქციონის დრო ახლოვდება! გაიგეთ! როგორც კი გადაწყვეტთ, რომ აგარაკები აშენდეს, მაშინ ფულს, რამდენსაც გნებავთ, იმდენს მოგცემენ და გეშველებათ.

ლიუბ. ანდ. აგარაკები, მოაგარაკეები, ეს ისეთი უხამსი რამ არის... მაპატიეთ.

გაევი*.* სრულად გეთანხმები.

ლოპახინი. ან ავტირდები ახლა, ან ვიყვირებ, ან გული წამივა და წავიქცევი! აღარ შემიძლია! (*გაეცინ*). შენ ვინ ყოფილხარ! ქალაჩუნა!

გაევი. ვისაო?

ლოპახინი. ქალაჩუნა! (*მიდის*).

ლიუბ. ანდ*.* (*შეშინებული*). არა, არ წახვიდეთ, დარჩით, ჩემო კარგო, გთხოვთ. იქნებ რამე მოვიფიქროთ!

ლოპახინი. საფიქრალი რა არის!!

ლიუბ. ანდ. ნუ წახვალთ, გთხოვთ, თქვენთან მხიარულად ვართ...

რას ველოდები არ ვიცი, თითქოს სახლი უნდა დამეშხოს თავზე.

გაევი (*ჩაფიქრებული*). დუბლეტი კუთხეში... კრუაზე შუაში...

ლიუბ. ანდ. მეტისმეტად ბევრი ცოდვა გვაქვს ჩადენილი...

ლოპახინი. თქვენ რა ცოდვა უნდა გქონდეთ?

გაევი (*შაქარყინულს ჩაიდებს პირში*). ჩემზე ამბობენ, მთელი ქონება შაქარყინულში შეჭამაო (*იცინის*).

ლიუბ. ანდ. ოო, ჩემი ცოდვები... ფულს ყოველთვის უაზროდ ვხარჯავდი, ვფლანგავდი, გიჟივით, და ისეთ კაცს მივთხოვდი, რომელიც სულ ვალებს იღებდა. ჩემი ქმარი შამპანურმა მოკლა, იმდენს სვამდა. ჩემდა საუბედუროდ, სხვა შემიყვარდა, დავუახლოვდი და სწორედ მაშინ, ეს იყო ჩემი პირველი სასჯელი, პირველი დარტყმა! აქ, მდინარეში, ჩემი ბიჭი დაიხრჩო. საზღვარგარეთ წავედი, სამუდამოდ. თვალი დავხუჭე და გავიქეცი, რომ აღარასოდეს დავბრუნებულიყავი. ეს მდინარე აღარ დამენახა... გავრბოდი, არაფერი მახსოვდა. ისიც დამედევნა... რა სისასტიკეა. მენტონის ახლოს აგარაკი ვიყიდე, რადგან ის იქ გახდა ავად, მთელი სამი წელი არც დღისით, არც ღამით მოსვენება არ მქონდა. გამტანჯა თავისი ავადმყოფობით, სული გამომიფიტა. შარშან აგარაკი ვალებში გამიყიდეს. პარიზში გადავედი, იქ კი იმან გამქურდა და მიმატოვა. სხვასთან წავიდა. თავის მოწამვლა ვცადე, რა სისულელეა. ისე მრცხვენია. მერე უცებ ჩემი რუსეთი მომენატრა, ჩემი სამშობლო. ჩემი ქალიშვილი... (*ცრემლებს იწმენდს*). ღმერთო, შემიწყალე, მომიტევე ჩემი ცოდვები! მეტს ნუღარ დამსჯი (*ჯიბიდან დეპეშას ამოიღებს*). დღეს მივიღე პარიზიდან... პატიებას მთხოვს, მევედრება, დამიბრუნდიო... (*დახევს დეპეშას*). თითქოს საიდანღაც მუსიკა ისმის. (*აყურადებს*).

გაევი. ჩვენი განთქმული ებრაული ორკესტრია. ხომ გახსოვს, ოთხი ვიოლინო, ფლეიტა და კონტრაბასი.

ლიუბ. ანდ. კიდევ არსებობს? მოდი, მოვიწვიოთ, საღამო გავმართოთ.

ლოპახინი (*მიაყურადებს*). მე არ მესმის... (*ნელა წაიმღერებს*). „ფული უნდა ყველაფერს“. რა პიესა ვნახე გუშინ თეატრში, ბევრი ვიცინე.

ლიუბ. ანდ. ვინ იცის, სასაცილო სულაც იყო. პიესებს კი არა, თქვენს თავს უცქირეთ. რა ნაცრისფერია თქვენი ცხოვრება, რამდენს ლაპარაკობთ, უაზროდ...

ლოპახინი. მართალია. პირდაპირ ვთქვათ, ბრიყვულ ცხოვრებას ვეწევით...

პაუზა

მამაჩემი გლეხი იყო, ხეპრე, იდიოტი. არც თვითონ იცოდა რამე, არც მე მასწავლა. რომ დათვრებოდა, მცემდა, ჯოხით. სხვათაშორის,მეც მასავით ბრიყვი ვარ. იდიოტი. არაფერი არ მისწავლია. ისე ვწერ, ხალხის მრცხვენია, ბატიფეხურად!

ლიუბ. ანდ. ცოლი უნდა შეირთოთ, ჩემო კარგო!

ლოპახინი. ჰო... მართალია.

ლიუბ. ანდ. აი ჩვენი ვარია, კარგი გოგოა!

ლოპახინი. დიახ.

ლიუბ. ანდ. უბრალო გოგოა. მთელი დღე შრომობს და, რაც მთავარია, უყვარხართ. თქვენც, მგონი, მოგწონთ.

ლოპახინი. უარს არ ვიტყოდი. კარგი გოგოა.

პაუზა

გაევი. ბანკში ადგილს მთავაზობენ. წელიწადში ექვსი ათასი მექნება. არ გაგიგია?

ლიუბ. ანდ. კარგი რა! იჯექი შენთვის...

შემოდის ფირსი. მოაქვს პალტო.

ფირსი (*გაევს*). ინებეთ, ბატონო, აქ ნესტია.

გაევი (*იცვამს*). ეე, თავი მომაბეზრე.

ფირსი. დილითაც არაფერი მითხარით, ისე წახვედით. (*ახედ-დახედავს*).

ლიუბ. ანდ. როგორ დაბერდი, ფირს!

ფირსი. რა ბრძანეთ?

ლოპახინი. დაბერდით!

ფირსი. დიდი ხანია, ვცხოვრობ. ცოლის შერთვას ჯერ კიდევ მაშინ მიპირებდნენ, როცა მამათქვენი დაბადებულიც არ

იყო... (*იცინის*) თავისუფლება რომ გამოცხადდა, უფროსი კამერდინერი ვიყავი. გათავისუფლება არ მოვინდომე, თქვენთან დავრჩი...

პაუზა

მახსოვს, ყველა გახარებული იყო.
რა უხაროდათ, არავინ იცოდა.

ლოპახინი. წინათ კარგი იყო, გაროზგვა იცოდნენ.

ფირსი (ვერ გაიგონა). აბა რა! გლეხი გლეხი იყო, ბატონი ბატონი, ახლა ვინ ვინ არის, ვერ გაიგებ.

გაევი. გაჩუმდი, ფირს. ხვალ ქალაქში უნდა წავიდე. დამპირდნენ, ერთ გენერალს გამაცნობენ. შეუძლია თამასუქით ფული მოგვცეს.

ლოპახინი. მაინც ვერ გადაიხდით. პროცენტებს ვერ დაფარავთ, დამიჯერეთ..

ლიუბ. ანდ. ბოდავს რაღაცას! გენერალი საიდან მოიგონა.

შემოდიან ტროფიმოვი, ანია და ვარია.

გაევი. აი ჩვენებიც მოდიან.

ანია. დედა აქ ყოფილა!

ლიუბ. ანდ. მოდით, მოდით... ჩემო კარგებო... (*ეხვევა ანიასა და ვარიას*). როგორ მიყვარხართ ორივენი, რომ იცოდეთ. აქ დასხედით.

სხდებიან.

ლოპახინი. ჩვენი მარადიული სტუდენტი გოგონებს არ შორდება.

ტროფიმოვი. ეგ თქვენი საქმე არ არის.

ლოპახინი. მალე ორმოცდაათი წლის გახდება და ჯერ ისევ სტუდენტია.

ტროფიმოვი. მოეშვი ამ სულელურ ხუმრობებს.

ლოპახინი. შენ კიდე რა გჭირს, ბრაზობ?

ტროფიმოვი. ჰოდა, თავი გამანებე.

ლოპახინი. (*იცინის*). ნება მომეცით გკითხოთ, რა აზრისა ხართ ჩემზე?

ტროფიმოვი. მე, ერმოლაი ალექსეიჩ, აი ასეთი აზრის ვარ: თქვენ მდიდარი კაცი ხართ. მალე მილიონერი გახდებით. ნივთიერებათა ცვლის თვალსაზრისით, ბუნებაში საჭიროა მტაცებელი ცხოველი, რომელიც ყველაფერს ნთქავს, რაც გზაზე შეხვდება. ასევე შენც ბრძანდები საჭირო.

ვარია: პეტია, პლანეტებზე გვიამბეთ.

ლიუბ. ანდ. არა, მოდი გუშინდელი საუბარი განვაგრძოთ.

ტროფიმოვი. რაზე ვსაუბრობდით?

გაევი. ამაყ ადამიანზე.

ტროფიმოვი. ბევრი ვიმსჯელეთ, დასკვნამდე კი ვერ მივედით. თქვენ მიგაჩნიათ, ამაყ ადამიანში არის რაღაც მისტიკური. შეიძლება მართალი ხართ, მაგრამ პირდაპირ ვთქვათ, რომელ საამაყეზეა საუბარი, როცა ადამიანი ფიზიოლოგიურად უხეიროდ არის აწყობილი. ადამიანთა უმეტესობა უხეშია, უჭკუოა, საოცრად უბედურია. მოვეშვათ საკუთარი თავით აღტაცებას. შრომაა საჭირო, შრომა.

გაევი. სულერთია, მაინც მოკვდები.

ტროფიმოვი. ვინ იცის? ანდა რას ნიშნავს „მოკვდები“? იქნებ ადამიანს ასი გრძნობა აქვს. სიკვდილთან ერთად მხოლოდ ჩვენთვის ცნობილი ხუთი გრძნობა კვდება, დანარჩენი ოთხმოცდათხუთმეტი კი ცოცხლობს.

ლიუბ.ანდ. რა ჭკვიანი ხართ, პეტია!..

ლოპახინი (*ირონიულად*). საშინლად!

ტროფიმოვი. კაცობრიობა წინ მიდის, ვითარდება, იხვეწება. რაც ამჟამად მიუწვდომელია, ოდესმე ახლობელი და გასაგები გახდება. ოღონდ, ამისათვის შრომაა საჭირო. უნდა დავეხმაროთ მათ, ვინც ჭეშმარიტებას ეძებს. ჩვენთან, რუსეთში, ძალიან ცოტა ადამიანი შრომობს. ინტელიგენციის დიდი ნაწილი, ვისაც მე ვიცნობ, არაფერს აკეთებს. შრომის უნარი არ გააჩნია. თავი ინტელიგენტებად მოაქვთ, მსახურებს კი შენობით მიმართავენ, გლეხებს ისე ეპყრობიან, როგორც პირუტყვებს. ცუდად სწავლობენ, რაც საჭიროა, იმას არ კითხულობენ. უსაქმურები არიან. მეცნიერების შესახებ მხოლოდ ლაპარაკობენ. ხელოვნება არ ესმით. ყბედობენ. სერიოზული გამომეტყველებით რაღაცას მსჯელობენ, ფილოსოფოსობენ, ამ დროს კი, მათ გვერდით მშრომელი კაცი, ღმერთმა იცის, რას ჭამს, როგორ ცხოვრობს! 30-

40 კაცი იძინებს ერთ ოთახში, უბალიშოდ. ყველგან ბაღლინჯოები, სინესტე, სიბინძურე, ათასი უზნეობა! ეტყობა, ჩვენში სასიკეთო საუბრები მხოლოდ იმისთვის წარმოებს, რომ თვალი აუხვიონ საკუთარ თავსაც და სხვასაც. აბა, სადა გვაქვს საბავშვო ბაღები, სამკითხველოები, რაზედაც ამდენს ლაპარაკობენ? დაბირებები, ლამაზი სიტყვები, და არაფერიც არა გვაქვს. არის სიბინძურე, უხამსობა, აზიატობა. მეშინია სერიოზული ფიზიონომიების და არ მიყვარს. მეშინია სერიოზული საუბრების. აჯობებს, გავჩუმდეთ!

ლოპახინი. იცით რა, მე დილით ხუთ საათზე ვდგები, ვმუშაობ დილიდან საღამომდე. სულ ფულთან მაქვს საქმე. ზოგი ჩემია, ზოგი სხვისი. ვხედავ, გარშემო როგორია ხალხი. საკმარისია რაიმე საქმის კეთება დაიწყო, მიხვდები, რა ცოტაა პატიოსანი, წესიერი ადამიანი. ზოგჯერ, არ მეძინება და ვფიქრობ: „ღმერთო, შენ მოგვეცი ეს უზარმაზარი მთები, ვრცელი მინდვრები, თვალუწვდენელი ჰორიზონტები, აქ მცხოვრებნი მართლაც ნამდვილი დევგმირები უნდა ვიყოთ, გოლიათები...“

ლიუბ. ანდ. ახლა დევგმირები მოინდომეთ... ეგენი ზღაპრებში არიან კეთილები, თორემ სინამდვილეში მათი ყველას ეშინია.

სცენის სიღრმეში ეპიხოდოვი (ჩაფიქრებით) გაევლის და ვიტარას უკრავს.

ეპიხოდოვი მოდის...

გაევი. მზე ჩავიდა, ბატონებო!

ტროფიმოვი. დიახ.

გაევი (*ხმადაბლა, დეკლამაციით*). ჰოი, ბუნებავ, საოცარო, მშვენიერო და გულგრილო, დედას გიწოდებთ. შენ გვანიჭებ სიცოცხლესაც და სიკვდილსაც... თავად ქმნი და თავადვე ანადგურებ.

ვარია. ძია!

ანია. ძია, კიდევ დაიწყე?

ტროფიმოვი. თქვენ, ჯობია, ყვითელი დუბლეტით შუაში ჩაავდოთ..

გაევი. ჩუმად ვარ, ჩუმად.

ყველამ ფიქრს მისცა თავი. სიჩუმეა, მოისმის მხოლოდ ფირსის ბუტბუტი. უეცრად შორიდან, თითქოსდა ციდან გაისმება გაწყვეტილი სიმის მსგავსი ხმა, ძალიან სევდიანი, რომელიც თანდათან მიწყდება.

ლიუბ. ანდ. ეს რა იყო?

ლოპახინი. არ ვიცი. სადღაც შორს, მაღაროში ბაგირი ჩაწყდა. მაგრამ შორს იყო, ძალიან შორს.

გაევი. შეიძლება რაღაც ფრინველი იყო... ვთქვათ ყანჩა.

ტროფიმოვი. ანდა ჭოტი...

ლიუბ. ანდ. უსიამოვნო ხმა იყო!

პაუზა

ფირსი. იმ უბედურების წინაც ასე მოხდა... ჭოტი კიოდა და სამოვარი გუგუნებდა.

გაევი. რომელი უბედურების წინ?

პაუზა

ფირსი. გლეხები რომ გაათავისუფლეს.

პაუზა

ლიუბ. ანდ. იცით რა, მეგობრებო, წავიდეთ, უკვე ღამდება. (*ანიას*). თვალზე ცრემლი გაქვს... (*მოეხვევა*). რატომ, მითხარი: რა მოხდა გოგონავ?

ანია. არაფერია დედა, ისე.

ტროფიმოვი. ვიღაც მოდის.

გამოჩნდება გამვლელი, აცვია პალტო, ახურავს ძველი, თეთრი ქუდი, ცოტა მთვრალია.

გამვლელი. ნება მიბოძეთ, გკითხოთ, ამ გზით სადგურთან მივალ?

გაევი. დიახ. ამ გზით უნდა იაროთ.

გამვლელი. მადლობას მოგახსენებთ. (*ჩაახვევლებს*). რა კარგი

ამინდია... (*პათეტიკურად*). „მრავალტანჯულო ჩემო ძმაო, გამოდი ვოლგაზე, მის კვნესას დაუგდე ყური...“ (*ვარიას*) მადმუაზელ, უბოძეთ მშიერ რუსს ოცდაათი კაპიკი... (*ვარიას შეეშინდება, შეეკითხებს*).

ლოპახინი. (*გაჯავრებული*). თავხედობასაც საზღვარი აქვს!

ლიუბ. ანდ. (*შეშფოთებული*). აი აიღეთ... (*ეძებს საფულეში*) ვერცხლის ფული არა მქონია... აი ინებეთ, ოქრო.

გამგზელი. გულაჩუყებული გწირავთ მადლობას (გადის).

იცინიან.

ვარია. (*შეშინებული*) მე წავალ... წავალ... დედიკო, სახლში საჭმელი არა გვაქვს, თქვენ კი მაგას ოქრო მიეცით.

ლიუბ. ანდ. რა ვქნა, სულელი ვარ. რაც დამრჩა, შინ რომ მივალთ, ყველაფერს შენ ჩაგაბარებ. ერმოლაი ალექსეიჩ, მასესხებთ კიდევ!..

ლოპახინი. მზად ვარ, გემსახუროთ.

ლიუბ. ანდ. წავიდეთ, ბატონებო, დროა. იცი, ვარია, ჩვენ თითქმის გაგათხოვეთ. მომილოცავს.

ვარია. დედიკო, ასე ხუმრობა არ შეიძლება!

ლოპახინი. ოხ, ფერია, წადი მონასტერში...

გაევი. ხელები მიკანკალებს, დიდი ხანია, ბილიარდი არ მითამაშია.

ლოპახინი. ოხ, ფერია, ფერიავ, მომიხსენიე შენს ლოცვებში!

ლიუბ. ანდ. წამობრძანდით, ბატონებო. ვახშმობის დროა.

ვარია. როგორ შემაშინა, გული გამისკდა.

ლოპახინი. არ დაგავიწყდეთ, ბატონებო, 22 აგვისტოს ალუბლის ბაღი იყიდება. იფიქრეთ ამაზე! იფიქრეთ!

ყველანი გადიან ტროფიმოვისა და ანიას გარდა.

ანია. იმ უცხო კაცს მადლობა, ვარიას გული რომ გაუხეთქა. ახლა მარტო ვართ.

ტროფიმოვი. ვარიას ეშინია, ერთმანეთი არ შევიყვაროთ და მთელი დღე არ გვშორდება. თავის მოკლე ჭკუით ვერ გაუგია, რომ სიყვარულზე მაღლა ვდგავართ. ჩვენი მიზანია, მოვიცილოთ ყოველივე წვრილმანი, მოჩვენებითი, რაც ხელს

გვიშლის ვიყოთ თავისუფალი, ბედნიერი. წინ, იმ კაშკაშა ვარსკვლავისაკენ, შორს რომ ციმციმებს. მეგობრებო, ნუ ჩამოგვრჩებით.

ანია (*აღტაცებით*). რა კარგად ლაპარაკობთ! რა მშვენიერია დღეს აქაურობა!

პაუზა

ტროფიმოვი. საოცარი ამინდია.

ანია. ეს რა მიყავით, პეტია, რატომ აღარ მიყვარს ძველებურად ჩვენი ალუბლის ბაღი? როგორ მიყვარდა! სულ მეგონა, ამ ბაღზე უკეთესი ადგილი მთელს დედამიწაზე არ მოიძებნებოდა.

პაუზა

ტროფიმოვი. მთელი რუსეთია ჩვენი ბაღი. დედამიწა ვრცელია და მშვენიერი. რამდენი საუცხოო ადგილია!

პაუზა

დაფიქრდით, ანია, თქვენს პაპას, დიდ პაპას, წინაპრებს ყმები ჰყავდათ, ცოცხალი ადამიანები ჰყავდათ საკუთრებაში. თითოეული ალუბლიდან, ხიდან, ფოთლიდან, ის ადამიანები შემოგვცქერიან. მათი ხმა არ გესმით? ცოცხალი სულების მფლობელობამ გადაგაგვარათ ისე, რომ ახლა ვერც დედაშენი, ვერც შენ, ვერც ბიძაშენი ვერ ამჩნევთ, რომ ვალი გაქვთ იმ ხალხის, ვისაც სახლშიც არ უშვებდით... მოსაცდელში აჩერებდით. ჩვენ ჩამოვრჩით ორასი წლით მაინც, არა გვაქვს გარკვეული დამოკიდებულება წარსულთან. მხოლოდ ვფილოსოფოსობთ, ვწუწუნებთ, რომ სევდა გვეძალება და ვსვამთ არაყს. ნამდვილი ცხოვრება რომ დავიწყოთ, ჯერ წარსული შეცოდებანი უნდა გამოვისყიდოთ. ეს კი მხოლოდ ტანჯვით შეიძლება და განუწყვეტელი შრომით, გაიგეთ ეს, ანია.

ანია. სახლი, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, დიდი ხანია ჩვენი არ არის, მეც წავალ ამ სახლიდან, სიტყვას გაძლევთ.

ტროფიმოვი. აიღე ყველა გასაღები, ისროლე ჭაში და წადი აქედან. გახდი ქარივით თავისუფალი.

ანია. (*აღტაცებული*) რა კარგად თქვი!

ტროფიმოვი. დამიჯერე, ანია, დამიჯერე! ჯერ ოცდაათი წლისაც არა ვარ, ჰო, ისევ სტუდენტი ვარ, მაგრამ რამდენი რამ გადავიტანე. ზამთარი რომ დადგება, ვარ მშიერი, ავადმყოფი, აფორიაქებული, ღარიბი, მათხოვარივით. ბედმა საით არ გადამაგდო, სად არ ვყოფილვარ! მაგრამ ჩემი სული ყოველთვის, ყოველ წუთს, დღისით თუ ღამით, აღსავსე იყო გამოუთქმელი წინათგრძნობით. ვგრძნობ, ბედნიერება გვიახლოვდება, ანია, მე ვხედავ მას...

ანია (*ჩაფიქრებით*). მთვარე ამოდის.

ისმის, როგორ უკრავს ეპიხოდოვი გიტარას და მღერის ისევ იმ თავის ნაღვლიან სიმღერას. ამოდის მთვარე. სადღაც ალვის ხეებთან ვარია ეძებს ანიას. ეძახის: „ანია! სადა ხარ?“

ტროფიმოვი. ჰო, მთვარე ამოდის.

პაუზა

აი ისიც, ბედნიერება, მოდის, მოდის, სულ ახლოს არის, ნაბიჯების ხმაც კი მესმის. ჩვენ თუ მას ვერ დავინახავთ, ვერ ვიცნობთ, არაფერია, სხვები დაინახავენ.

ვარიას ხმა: *„ანია! სადა ხარ?“*

ისევ ეს ვარია! (*ვაჯავრებული*). პირდაპირ აღმაშფოთებელია.

მიდიან.

ვარიას ხმა. „ანია, ანია!“

ფარდა

მესამე მოქმედება

სასტუმრო ოთახი, თაღის იქით მოჩანს დიდი დარბაზი, ჭაღები ანთია. დერეფნიდან ებრაული ორკესტრის ხმა ისმის. ეს ის ორკესტრია, მეორე მოქმედებაში რომ ვახსენეთ. საღამოა. დარბაზში ცეკვავენ grand-rond-ს. *სიმეონოვ-პიშჩიკის ხმა: „Promenade a une paire!“ შემოდიან: პირველი წყვილი პიშჩიკი და შარლოტა, მეორე – ტროფიმოვი და ლიუბოვ ანდრეევნა, მესამე – ანია და ფოსტის მოხელე, მეოთხე – ვარია და სადგურის უფროსი და სხვ. ვარია თან ტირის, თან ცეკვავს. ბოლო წყვილში დუნაშაა. წრეს შემოუვლიან სასტუმრო ოთახს. პიშჩიკი ხმამაღლა აცხადებს: „Grand-rond, balancez!“ და „les cavaliers a genoux et remerciez vos dames!“*

ფირსს ფრაკი აცვია და სიცით დააქვს მინერალური წყალი.
სასტუმროში შემოდიან პიშჩიკი და ტროფიმოვი.

პიშჩიკი. წნევა მაქვს. უკვე ორჯერ ჩამექცა სისხლი. ცეკვა მიჭირს, მაგრამ აბა რა ვქნა! მარაქაში რომ გაერევი, კუდიც უნდა გააქიცინო... ისე კი ცხენის ჯანმრთელობა მაქვს. განსვენებული მამაჩემი, ღმერთმა აცხონოს მისი სული, ხუმარა კაცი იყო და ამბობდა: ჩვენო, სიმეონოვ-პიშჩიკებიო, იმ ცხენის შთამომავლები ვართ, კალიგულამ სენატში რომ დასვაო... (*ჯდება*). ერთი უბედურება მჭირს: ფული არა მაქვს. მშიერ ძაღლს კი მხოლოდ ხორცი ელანდება... (*ხვრინავს, იმ წამსვე გაღვიძება*). მეც... სულ ფული მელანდება.

ტროფიმოვი. თქვენს აღნავობაში მართლაც არის რაღაც ცხენისებური.

პიშჩიკი. რა ვუყოთ მერე... ცხენი კარგი ცხოველია. შეგიძლია გაყიდო...

გვერდით ოთახიდან ისმის ბილიარდის თამაშის ხმა.
შემოდის ვარია.

ტროფიმოვი. (*გამოაჯავრებს*) მადამ ლოპახინა! მადამ ლოპახინა!

ვარია. (*ბრაზდება*) შე მართლა გაქუცულო!

ტროფიმოვი. კი, ბატონო, ვარ და ვამაყობ ამით.

ვარია. (*თავისთვის*). მუსიკოსები დაიქირავეს, რითი უხდიან? (*ვადის*).

ტროფიმოვი. (*პიშჩიკს*) ის ენერგია, რასაც თქვენ ფულის ძებნაში ხარჯავთ, რომ პროცენტები იხადოთ, სხვაგვარად რომ მოგეხმარათ, დედამიწას გადააბრუნებდით.

პიშჩიკი. ნიცშე... ცნობილი ფილოსოფოსი... უდიდესი ჭკუის პატრონი, თავის თხზულებებში ამბობს, ყალბი ფულის კეთება შეიძლებაო.

ტროფიმოვი. თქვენ ნიცშე წაიკითხეთ?

პიშჩიკი. არა... დაშენკამ მითხრა, ახლა ისეთ დღეში ვარ, ლამის ყალბი ფულის მოჭრა დავიწყო. ზეგ სამას ათი მანეთი უნდა გადავიხადო. ეს ოცდაათი უკვე ვიშოვნე. (*ეძებს ჯიბეში, შეშფოთდება*). ვაიმე, დავკარგე! სად წავიდა, რა იქნა?! (*გახარებული*). აი სად ყოფილა!.. სარჩულში ჩაგარდნილა... უჰ, სიმწრის ოფლმა დამასხა...

შემოდიან ლიუბოვ ანდრეევნა და შარლოტა.

ლიუბ. ანდ. (*ლიქიორებს „ლეკურს“*) სად არის აქამდე ჩემი ძმა, რას აკეთებს ამდენ ხანს ქალაქში? (*დუნაშას*). მუსიკოსებს ჩაი მიართვი...

ტროფიმოვი. ალბათ აუქციონი არ შედგა.

ლიუბ. ანდ. უდროო დროს მოვიწვიეთ ეს მუსიკოსები. რა დროს მეჯლისი იყო.... არაფერია... (*ჯდება და ისევ ლიქიორებს*).

შარლოტა (*პიშჩიკს მიაწოდებს ბანქოს დასტას).* ამოიღეთ ერთი კარტი და ჩაიფიქრეთ!

პიშჩიკი. ჩავიფიქრე.

შარლოტა. ახლა კარტი აჭერით. ძალიან კარგი. მომეცით, ჩემო კარგო ბატონო პიშჩიკ. Ein, zwei, drei! ის კარტი თქვენს გვერდითა ჯიბეშია... მოძებნეთ!

პიშჩიკი (*ჯიბიდან კარტს ამოიღებს*). ყვავის რვიანი, ის არის! (*გაკვირვებული*). უყურე შენ!

შარლოტა (*ბანქოს დასტას გაუწვდის ტროფიმოვს*). ჩქარა მითხარით, ზემოდან რა კარტია?

ტროფიმოვი. ყვავის ქალია.

შარლოტა. ინებეთ! (*პიშჩიკს*). რა კარტია ზემოდან?

პიშჩიკი. გულის ტუზი.

შარლოტა. სწორია!.. (***ხელს დაჰკრავს და მთელი დასტა ქრება***). ო, რა მშვენიერი ამინდია დღეს!

ქალის იდუმალი ხმა თითქოს ქვემოდან პასუხობს: „დიახ, მართლაც მშვენიერი ამინდია, ქალბატონო!“

თქვენ ისეთი კარგი ხართ, იდეალური...

ხმა: „თქვენც, ქალბატონო, მეც მომწონხართ“.

სადგურის უფროსი (*ტაშს უკრავს*). ბრავო, ბრავო, მუცლით მეზღაპრე ქალბატონო!

პიშჩიკი (*გაკვირვებული*) უყურე შენ! მშვენიერო შარლოტა ივანოვნა... პირდაპირ შეყვარებული ვარ...

შარლოტა. შეყვარებული? *(მხრებს აიჩეჩს).* ნუთუ თქვენ სიყვარული შეგიძლიათ? Guter Mensch, aber schlechter Musikant.

ტროფიმოვი (*პიშჩიკს მხარზე ხელს დაჰკრავს*). შე მართლა ცხენო, შენა!..

შარლოტა. ყურადღება! კიდევ ერთი ფოკუსი. *(სკამიდან პლედს აიღებს).* ეს ძალიან კარგი პლედია. ვყიდი... (*დაიქნევს*). ვის სურს იყიდოს?

პიშჩიკი (*უკვირს*). უყურე შენ!

შარლოტა. Ein, zvei, drei! *(სწრაფად აწევს პლედს).*

პლედის უკან გამოჩნდება ანია; ის აკეთებს რევერანსს, გაიქცევა დედისკენ, მოეხვევა, შემდეგ გაიქცევა დარბაზისკენ. ყველანი აღტაცებულნი არიან.

ლიუბ. ანდ. (*ტაშს უკრავს).* ბრავო, ბრავო!..

შარლოტა. ერთი კიდევ! Ein, zvei, drei! (*ასწევს პლედს: გამოჩნდება ვარია და ყველას მიესალმება).*

პიშჩიკი. უყურე შენ!

შარლოტა. მორჩა! (*პლედს პიშჩიკს ესვრის, აკეთებს რევერანსს და მირბის დარბაზისკენ).*

პიშჩიკი (*დაუდევნება*). შე ბორიტო სულო. ეს ვინ ყოფილა! (*გადის*).

ლიუბ. ანდ. ჩემი ძმა არ ჩანს. რას აკეთებს ამდენ ხანს ქალაქში, ვერ გავიგე! ალბათ ყველაფერი დამთავრდა, ან გაიყიდა, ან აუქციონი არ შედგა, ამდენ ხანს რატომ არაფერი გაგვაგებინა!

ვარია (*ცდილობს ანუგეშოს*). ძია იყიდდა, დარწმუნებული ვარ.

ტროფიმოვი (*დაცინვით*). როგორ არა!

ვარია. ბებიამ მინდობილობა გამოუგზავნა, რომ თავის სახელზე იყიდოს და ვალსაც თავის სახელზე გადაიტანს. ანიასათვის აკეთებს. ღმერთი შეგვეწევა და ძია იყიდის.

ლიუბ. ანდ. მხოლოდ თხუთმეტი ათასი გამოგზავნა, ეს მარტო პროცენტებს არ ეყოფა. ჩემს სახელზე იყიდეთო, არ გვენდობა. *(სახეზე ხელებს მიიფარებს).* დღეს ჩემი ბედი წყდება... ბედი...

ტროფიმოვი (*ვარიას*). მადამ ლოპახინა!

ვარია (*ბრაზდება*). მუდმივო სტუდენტო! ორჯერ ხომ გაგრიცხეს უნივერსიტეტიდან.

ლიუბ. ანდ. რატომ ბრაზობ, ვარია? ლოპახინას რომ გეძახის, მერე რა? თუ გინდა, მისთხოვდი, არ არის ცუდი კაცი, თუ არ გინდა, ნუ წაჰყვები; შენ, ჩემო კარგო, არავინ გაძალებს...

ვარია* . რა ხუმრობაა. დიახ, კარგი კაცია და მართლაც მომწონს

ლიუბ. ანდ. ჰოდა, მისთხოვდი. რას უცდი!

ვარია. როგორ? მე ხომ ვერ მივცემ წინადადებას. ორი წელია ყველა ამაზე ლაპარაკობს. ის კი ჩუმად არის, ან ხუმრობს. მესმის: საქმით არის დაკავებული, მდიდრდება, ჩემთვის არ სცალია. ფული რომ მქონდეს, სულ ცოტა მაინც, ასი მანეთი, ყველაფერს მივატოვებდი და წავიდოდი აქედან შორს. მონასტერში წავიდოდი.

ტროფიმოვი. ო, ეგ ნამდვილად მადლი იქნებოდა!

ვარია (*ტროფიმოვს*). სტუდენტს მეტი ჭკუა მოეთხოვება! (*უფრო რბილად*). როგორ დაუშნოვდით, პეტია, როგორ დაბერდით! (*ლიუბოვ ანდრეევნას*). უსაქმოდ ყოფნა არ შეიძლია, დედიკო, სულ რაღაცას უნდა ვაკეთებდე.

შემოდის იაშა.

იაშა *(სიცილს ძლივს იკავებს)*. ეპიხოდოვმა ბილიარდის ჯოხი გატეხა!.. (*გადის*).

ვარია. რა უნდა ეპიხოდოვს საერთოდ აქ? ბილიარდის თამაშის ნება ვინ მისცა? რა ხალხია... (*ვადის*).

ლიუბ. ანდ. თავი გაანებეთ, პეტია, ხომ ხედავთ, ისედაც გამწარებულია.

ტროფიმოვი. ყველაფერში ცხვირს ყოფს. მთელი ზაფხული მე და ანიას მოსვენება არ მოგვცა, ეშინოდა, ჩვენს შორის რომანი არ გაბმულიყო. რა მისი საქმეა, თანაც ამის საბაბი არ მომიცია. უხამსობას არ ვიკადრებ. ჩვენ სიყვარულზე მაღლა ვდგავართ.

ლიუბ. ანდ. მე კი, ეტყობა, სიყვარულზე დაბლა ვდგავარ. (*ძლიერ შეშფოთებული*). რატომ არ მოდის ლეონიდი? ვიცოდე მაინც, გაიყიდა თუ არ გაიყიდა? ეს იმდენად წარმოუდგენელია, რომ არც კი ვიცი, რა ვიფიქრო... ახლა შემიძლია ვიყვირო, შემიძლია სისულელე ჩავიდინო. მიშველეთ, პეტია, მითხარით რამე, თქვით...

ტროფიმოვი. გაიყიდა თუ არა, რა მნიშვნელობა აქვს. ეგ ყველაფერი დიდი ხნის წინ დამთავრდა. უკან დასახევი გზა აღარ არსებობს. ბალახმა დაფარა, წაიშალა. დამშვიდდით, ძვირფასო, თავი არ მოიტყუოთ, ერთხელ მაინც შეხედეთ სიმართლეს თვალებში.

ლიუბ. ანდ. რომელ სიმართლეს? თქვენ იცით, სად არის სიმართლე, ან სიცრუე. მე თითქოს ბრმა ვარ, ვერაფერს ვხედავ. რა ადვილად წყვეტთ მნიშვნელოვან საკითხებს, მაგრამ მითხარით, გეთაყვა, ეს იმიტომ ხომ არ ხდება, რომ ჯერ ახალგაზრდა ხართ და ვერ მოასწარით რომელიმე მათგანის გამო დატანჯულიყავით? თამამად უცქერით მომავალს და საშინელს არაფერს მოელით, რადგან ცხოვრებას არ იცნობთ. თქვენ ჩვენზე მეტად გაბედული ხართ, უფრო პატიოსანი, უფრო ღრმა. სულ ცოტა დიდსულოვნება მაინც გამოიჩინეთ, დამინდეთ. მე აქ დავიბადე, აქ ცხოვრობდნენ ჩემი მშობლები, ჩემი წინაპრები, მიყვარს ეს სახლი. ალუბლის ბაღის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმომიდგენია. თუ ასე აუცილებელია მისი გაყიდვა, მაშინ მეც გამყიდეთ ამ ბაღთან ერთად... (*მიეხვევა ტროფიმოვს და შუბლზე კოცნის*). აქ ჩემი შვილი დაიხრჩო... (*ტირის*). შემიბრალეთ, კეთილო, კარგო ადამიანო.

ტროფიმოვი. სულით და გულით გითანაგრძნობთ, თქვენ იცით ეს.

ლიუბ. ანდ. სხვაგვარად, სხვაგვარად უნდა მითხრათ... (*ამოიღებს ცხვირსახოცს, ჯიბიდან ტელეგრამა ამოუვარდება*). მე დღეს ძალიან მიჭირს, ვერ წარმოიდგენთ, როგორ. აქ აუტანელი ხმაურია, სული მითრთის, ვერ დამიწყნარდა, ვერც ჩემს ოთახში მივდივარ, სიჩუმეში მარტო დარჩენის მეშინია, ნუ დამძრახავთ, პეტია... მიყვარხართ, სიამოვნებით მოგათხოვებდით ანიას, გეფიცებით, მაგრამ, ძვირფასო, სწავლა ხომ უნდა დაასრულოთ, თქვენ არაფერს აკეთებთ, ბედი ხან საით გადაგაგდებთ, ხან საით. ეს ისე უცნაურია. არ მეთანხმებით? წვერსაც მოუხერხეთ რამე, რომ გაგეზარდოთ... (*უცინება*). სასაცილო ხართ!

ტროფიმოვი *(აიღებს დეპეშას)*. მე არ მსურს ვიყო ლამაზი.

ლიუბ. ანდ. პარიზიდანაა. ყოველდღე ვიღებ. გუშინაც, დღესაც. ის ველური კაცი ისევ ავად გამხდარა, ცუდად არის... მევედრება, ჩამოდიო, პატიებას მთხოვს. წესით, უნდა წავიდე პარიზში, მის გვერდით ვიყო. რა მკაცრად მიცქერით, პეტია?! აბა რა ვქნა, ჩემო კარგო. ავად არის, მარტოა, უბედურია, ვინ მოუვლის, ხელს ვინ შეუშლის, რაიმე სისულელე არ ჩაიდინოს, წამალს ვინ მიაწოდებს? რატომ დავმალო, რაც ისედაც ცხადია, მიყვარს ის კაცი... ვიცი, ლოდიგით მკიდია კისერზე და უფსკრულისკენ მიმაქანებს, მაგრამ მიყვარს ეს ჩემი ლოდი და მის გარეშე სიცოცხლე არ შემიძლია. (*ტროფიმოვს ხელს ხელზე უჭერს*). ცუდს ნუ იფიქრებთ ჩემზე, პეტია, და ნურაფერს მეტყვით, ნუ...

ტროფიმოვი. ღვთის გულისათვის, მაპატიეთ გულახდილობა, მაგრამ მან თქვენ გაგქურდათ.

ლიუბ. ანდ. არა, არა, ნუ ამბობთ, არ გინდათ... (*ყურებზე ხელს იფარებს*).

ტროფიმოვი. ის არამზადაა, მარტო თქვენ არ იცით ეს! ის არამზადაა და სულმდაბალი...

ლიუბ. ანდ. *(ბრაზდება, მაგრამ თავს იკავებს)*. თქვენ ოცდაექვსი თუ ოცდაშვიდი წლისა ხართ, მაგრამ ბავშვივით მსჯელობთ.

ტროფიმოვი. მერე რა!

ლიუბ. ანდ. მამაკაცი უნდა იყოთ. თქვენს ასაკში უნდა გაუგოთ იმათ, ვისაც უყვარს. თვითონაც უნდა გიყვარდეთ... შეყვარებული უნდა იყოთ. (*ვაჯავრებული*). დიახ, დიახ! თქვენ წმინდა კი არა ხართ, „წმინდანობთ“, სასაცილო ხართ, მახინჯი!

ტროფიმოვი (*შეძრწუნებული*) რას ამბობს!

ლიუბ. ანდ. ოო, „მე სიყვარულზე მაღლა ვარ!“ თქვენ სიყვარულზე მაღლა კი არა, როგორც ფირსი ამბობს, დოყლაპია ხართ. თქვენს ასაკში საყვარელიც კი არა გყავთ...

ტროფიმოვი (*შეძრწუნებული*). საშინელებაა! რას ლაპარაკობს! (*ჩქარა მიდის დარბაზისკენ, თავზე ხელს წაიგლეკს*). ამას ვერ ავიტან!... არ შემიძლია... მივდივარ! (*კარის და მაშინვე ბრუნდება*). ჩვენს შორის ყველაფერი დამთავრდა (*მიდის*).

ლიუბ. ანდ. (მიაძახებს) პეტია! შეჩერდით! რა სასაცილო ხართ, გეხუმრეთ! პეტია!

ისმის, რომ დერეფანში ვიღაც სწრაფად ჩადიოდა კიბეზე და უეცრად დიდი ხმაურით დავორდა. ანია და ვარია შეჰყვირებენ, მავრამ მალე ისმის სიცილი.

ლიუბ. ანდ. რა მოხდა?

შემორბის ანია.

ანია. პეტია კიბეზე დავორდა! (*ვარბის*).

ლიუბ. ანდ. უცნაური კაცია ეს პეტია!..

შემოდის სადგურის უფროსი და დარბაზის შუაგულში კითხულობს ა. ტოლსტოის „ცოდვილ ქალს“. უსმენენ, მავრამ რამდენიმე სტრიქონის წაკითხვის შემდეგ იწყება ვალსი და კითხვა შეწყდება. ყველანი ცეკვავენ. შემოდიან ტროფიმოვი, ანია, ვარია და ლიუბოვ ანდრეევნა.

ჩემო კარგო, ჩემო კეთილო, მაპატიეთ!.. წამოდით, ვიცეკვოთ... (*ცეკვავს პეტიასთან ერთად*).

ანია ვარიასთან ცეკვავს.

შემოდის ფირსი. ჯოხს გვერდითა კართან მიაყუდებს. იაშაც სასტუმრო ოთახიდან შემოვა და ცეკვას უყურებს.

იაშა. რა იყო, ბაბუ?

ფირსი. შეუძლოდ ვარ. წინათ ჩვენს მეჯლისებზე ცეკვავდნენ გენერლები, ბარონები, ადმირალები, ახლა კი ვიწვევთ ფოსტის მოხელეს, სადგურის უფროსს და ისინიც არ მოდიან

დიდი ხალისით. როგორღაც დავუძლურდი... განსვენებული ჩვენი დიდი ბატონი თუკი რამე შეაწუხებდა, ლუქს სვამდა. მეც, უკვე ოცი წელი იქნება, ყოველდღე ვსვამ ლუქს. ალბათ ეგ მშველის.

იაშა. თავი მომაბეზრე, ბებერო. (*ამოქნარებს*). ნეტავ მალე ჩაძაღლდებოდე!

ფირსი. ეი, შე... დოყლაპია შენა! (*ბურტყუნებს*).

ტროფიმოვი და ლიუბოვ ანდრეევნა ჯერ დარბაზში ცეკვავენ, შემდეგ სასტუმრო ოთახში.

ლიუბ. ანდ. Merci! ჩამოვჯდები (*ჯდება*). დავიღალე.

შემოდის ანია.

***ანია** (აღელვებული).* სამზარეულოში ვიღაც კაცმა თქვა, დღეს ალუბლის ბაღი გაიყიდაო.

ლიუბ. ანდ. ვინ იყიდაო?

ანია. ეგ არ უთქვამს. წავიდა. (*ცეკვავს ტროფიმოვთან. ორივენი დარბაზში გადიან).*

იაშა. ერთი ბებერი ყბედობდა რაღაცას, უცხო კაცი იყო.

ფირსი. ლეონიდი ჯერაც არ ჩანს. არ ჩამოვიდა. თხელი პალტო აცვია, დემისეზონ, არ გაცივდეს. ეეჰ, თავქარიანია ახალგაზრდობა!

ლიუბ. ანდ. ახლა მოვკვდები. წადით, იაშა, გაიგეთ, ვინ იყიდა.

იაშა. რა ხანია, წავიდა ის ბებერი. (*იცინის*).

ლიუბ. ანდ. რას იცინით? რა გიხარიათ?

იაშა. ეპიხოდოვზე მეცინება, ჭკუათხელი კაცია, ჩერჩეტი.

ლიუბ. ანდ. ფირს, თუ მართლა გაიყიდა, შენ სად წახვალ?

ფირსი. სადაც მიბრძანებთ, იქ წავალ.

ლიუბ. ანდ. რა ცუდად გამოიყურები! ავადა ხარ? წადი, დაიძინე, დაისვენე...

ფირსი. ჰმ... მე რომ დავისვენო, თქვენ ვინ მოგემსახურებათ, მთელს სახლში ჩემს გარდა არავინაა.

იაშა. (*ლიუბოვ ანდრეევნას*) ლუბოვ ანდრეევნა, ნება მიბოძეთ, რაღაც გთხოვოთ, პარიზში თუ წახვალთ, თან წამიყვანეთ. ჩემი აქ დარჩენა შეუძლებელია. *(მიიხედ-მოიხედავს, ხმადაბლა*).

ხომ ხედავთ, ქვეყანა გაუნათლებელია, ხალხი გარყვნილი, თანაც რა მოწყენილობაა. სამზარეულოში, ღმერთმა იცის, რას გვაჭმევენ. ეს ფირსი დაეთრევა და რაღაც სიტყვებს ბურტყუნებს. წამიყვანეთ, გემუდარებით. (*მღერის*).

შემოდის პიშჩიკი.

პიშჩიკი. ნება მომეცით, გთხოვოთ... უმშვენიერესო, ვალსში გამომყევით. (*ლიუბოვ ანდრეევნა მიჰყვება*). ძვირფასო... ას ოთხმოცი მანეთი მაინც უნდა მომცეთ... (*ცეკვავენ*). ას ოთხმოცი მანეთი...

დარბაზში გადიან.

მოჩანს, როგორ დახტის დარბაზში ვიღაც ნაცრისფერი ცილინდრით და კუბოკრული პანტალონით, თან ხელებს იქნევს. შეძახილები: „ბრავო, შარლოტა!“

დუნიაშა (*შედგება, პუდრს ისვამს*). მიბრძანეს, იცეკვეო. კავალერი ბევრია, ქალები ცოტაო. ცეკვისგან თავბრუ მეხვევა, გული როგორ მიცემს. ფირს, ფოსტის მოხელემ ისეთი რამ მითხრა, სუნთქვა შემეკრა.

მუსიკა წყდება.

ფირსი. რაო, რა გითხრა?

დუნიაშა. თქვენო, ყვავილს გავხართო...

იაშა. (*ამოქნარებს*). ტუტუცობა! (*გადის*).

დუნიაშა. ყვავილსო... ისეთი სათუთი ვარ, მიყვარს ნაზი სიტყვები.

ფირსი. გაგაგიჟებენ, გოგო...

შემოდის ეპიხოდოვი.

ეპიხოდოვი. თქვენ, ძვირფასო ავდოტია ფიოდოროვნა, არ გინდათ შემამჩნიოთ... თითქოს მე რაღაც მწერი ვიყო. (*ამოითხრეებს*).

დუნიაშა. რა გნებავთ?

ეპიხოდოვი. შესაძლოა მართალიც ბრძანდებით. (ამოიოხრებს). მაგრამ, რასაკვირველია, ამ თვალსაზრისით თუ განვჭვრიტეთ, სწორედ თქვენ... მომიტევეთ გულახდილობა, მაგრამ შემიქმენით სულიერი მდგომარეობა. ვიცნობ ჩემს ფორტუნას, ყოველდღე რაღაც უბედურება უნდა შემემთხვეს. ამას შევეჩვიე და ღიმილით შევცქერი ბედს. თქვენ სიტყვა მომეცით, თუმცა მე...

დუნიაშა. გთხოვთ, ამაზე სხვა დროს ვისაუბროთ. ახლა თავი დამანებეთ. ახლა მე ვოცნებობ. *(მარათს ათამაშებს).*

ეპიხოდოვი. ყოველდღე უბედურება მემართება. ჩემს თავს ნებას მივცემ და ვიტყვი, მაინც ვიღიმები, ვიცინი კიდეც.

დარბაზიდან შემოდის ვარია.

ვარია (*ეპიხოდოვს*). შენ კიდევ არ წასულხარ? როგორ იქცევი?! (*დუნიაშას*). წადი აქედან. (*ეპიხოდოვს*). ხან ბილიარდს თამაშობ და ჯოხიც კი გატეხე, ხან მიდი-მოდიხარ აქ სტუმარივით.

ეპიხოდოვი. მოთხოვნილების წამოყენების უფლება ჩემდამი, ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, არა გაქვთ.

ვარია. მოთხოვნილება კი არა, გეუბნები, საქმეს მიხედე, აქეთ-იქით დაეხეტები და არაფერს აკეთებ, მოხელედ ავიყვანეთ და გაუგებარია რისთვის.

ეპიხოდოვი (*შეურაცხყოფილი*). მე გმუშაობ, დავდივარ, ვჭამ თუ ბილიარდს ვთამაშობ, ამ საკითხზე შეუძლიათ იმსჯელონ მხოლოდ იმათ, ვინც გაგებულია და ჩემი უფროსია!

ვარია. მე მიბედავ ამის თქმას? შეენ? მაშ გაგებული არა ვარ, არა?! გაეთრიე აქედან! ახლავე!

ეპიხოდოვი (*დაფრთხება*). გთხოვთ, უფრო თავაზიანი გამოთქმებით მომმართოთ.

ვარია (*თავს ვერ იკავებს*). გაეთრიე-მეთქი, ახლავე, ამ წუთას!

ეპიხოდოვი მიდის კარისკენ, ვარია მისდევს.

ეს ვინ ყოფილა, შენი ფეხი არ იყოს აქ. არ დაგინახოს ჩემმა თვალებმა! (*ეპიხოდოვი გადის. ისმის მისი ხმა: „მე თქვენ გიჩივლებთ!“*). მე შენ გიჩვენებ სეირს! (*ფირსის ჯოხს ხელს დასტაცებს, მოუქნევს, ამ დროს შემოდის ლოპახინი*).

ლოპახინი. ოო, დიდად გმადლობთ!

ვარია (*გულმოსულია*). უკაცრავად!

ლოპახინი. გმადლობთ სასიამოვნო გამასპინძლებისთვის.

ვარია. არ ღირს მადლობად. (*მოშორდება, შემდეგ მოიხედავს და ეკითხება*). გატკინეთ?

ლოპახინი. არა, არაფერია, თუმცა... დიდი კოპი მექნება.

დარბაზში ხმები: „ლოპახინი მოვიდა!“

პიშჩიკი. ამას ვის ვხედავ, ვისი ხმა მესმის... (ჰკოცნის ლოპახინს). კონიაკის სუნი გიდის, ჩემო კარგო, ჩვენც ვმხიარულობდით აქ...

შემოდის ლიუბოვ ანდრეევნა.

ლიბ. ანდ. რატომ დაიგვიანეთ? ჩემი ძმა სად არის?

ლოპახინი. ჩემთან ერთად ჩამოვიდა, მოვა...

ლიუბ. ანდ. (*ღელავს*). შედგა აუქციონი? თქვით, ბოლოს და ბოლოს!

ლოპახინი. (*ერიდება, თავისი სიხარული გამოხატოს*). ოთხი საათისთვის დამთავრდა. ჩვენ მატარებელზე დაგვაგვიანდა და ათის ნახევრამდე მოგვიხდა ლოდინი. (*ამოოხრებს*). უფ! ცოტა არ იყოს, თავბრუ მეხვევა.

შემოდის გაევი. რაღაც უყოდია, მარჯვენა ხელში უჭირავს, მარცხენათი ცრემლებს იწმენდს.

ლიუბ. ანდ. ლეონიდ, რა მოხდა, თქვი... (*მოუთმენლად, თითქმის ტირილით*). თუ ღმერთი გწამს, ხმა ამოიღე...

გაევი. (*პასუხს არ იძლევა, მხოლოდ ხელს ჩაიქნევს. ფირსს, ტირილით*). აჰა, წაიღე... ანჩოუსებია და ქერჩის ქაშაყი. დილიდან არაფერი მიჭამია... რამდენი ვინერვიულე!

საბილიარდო ოთახის კარი ღიაა. მოისმის ბურთების ჭახუნი და იაშას ხმა: „შვიდი და თვრამეტი!“ გაევს სახე ეცვლება, აღარ ტირის.

დავიღალე საშინლად. ფირს, მომეხმარე, ტანზე გამოვიცვლი.

შედის თავის ოთახში, ფირსი მიჰყვება.

პიშჩიკი. რა მოხდა აუქციონზე? გვითხარით რამე!
ლიუბ. ანდ. ალუბლის ბაღი გაიყიდა?
ლოპახინი. გაიყიდა.
ლიუბ. ანდ. ვინ იყიდა?
ლოპახინი. მე ვიყიდე.

პაუზა

ლიუბოვ ანდრეევნა განადგურებულია, ალბათ წაიქცეოდა, საგარძელსა და მაგიდასთან ახლოს რომ არ მდგარიყო. ვარია წელიდან მოიხსნის გასაღებების ასხმას, იატაკზე დააგდებს და გადის.

ლოპახინი. მე ვიყიდე. მოიცათ, ბატონებო, ღვთის გულისათვის, მოიცათ... თავში ყველაფერი ამერია, ვერ ვლაპარაკობ... (*იცინის*). მივედით აუქციონზე, დერიგანოვი იქ დაგვხვდა. თქვენს ძმას მხოლოდ თხუთმეტი ათასი ჰქონდა, დერიგანოვმა პროცენტებს ერთბაშად ოცდაათი ათასი დაუმატა. დავინახე, საქმე ცუდადაა, ორმოცი ვთქვი. იმან ორმოცდახუთი. მე ორმოცდათხუთმეტი. ის ხუთიათასობით უმატებდა, მე ათიათასობით... ჰოდა, მორჩა! ოთხმოცდაათი ათასი ვთქვი პროცენტებს ზევით და ალუბლის ბაღი ჩემია, ჩემი! (*ხარხარებს*). ღმერთო ჩემო, ალუბლის ბაღი ჩემია! მითხარით, რომ მთვრალი ვარ, რომ ჭკუიდან შევიშალე, რომ ეს ყველაფერი მეჩვენება... (*ფეხებს დააბრახუნებს*) არ დამცინოთ! მამაჩემი და პაპაჩემი რომ საფლავებიდან წამოდგნენ და დაინახონ, რა მოხდა! მათმა ნაშიერმა ერმოლაიმ, წერა-კითხვის უცოდინარმა ბიჭმა, ფეხშიშველი რომ დარბოდა ზამთრობით, იმ ერმოლაიმ იყიდა მამული, რომლის მსგავსი დედამიწის ზურგზე არ მოიპოვება. ვიყიდე მამული, სადაც მამაჩემი და პაპაჩემი მონები იყვნენ. სამზარეულოშიც კი არ ადგმევინებდნენ ფეხს. არა,

ნამდვილად მძინავს და ეს ყველაფერი სიზმარია. თქვენი წარმოსახვის ნაყოფია, გაუგებრობის ბურუსით მოცული. (*გასაღებებს აიღებს. იღიმება*). გასაღებები გადააგდო, აქაოდა, აქ უკვე დიასახლისი აღარ ვარო... (*გასაღებებს არაჩხუნებს*). კი ბატონო, ჩემთვის სულერთია.

ისმის, ორკესტრანტები როგორ აწყობენ ინსტრუმენტებს.

ეი, თქვენ, მუსიკოსებო, დაუკარით! მე მსურს მოგისმინოთ. მოდით და უცქირეთ, ერმოლაი ლოპახინი როგორ აიღებს ნაჯახს და გაჩეხავს ალუბლის ბაღს, როგორ დაწვებიან ხეები მიწაზე! აქ გავაშენებთ აგარაკებს. ჩვენი შვილიშვილები და მათი შვილები იცხოვრებენ ახალი ცხოვრებით. დაუკარით! მუსიკა!

უკრავს მუსიკა. ლიუბოვ ანდრეევნა სკამზე
დაეშვება და მწარედ ტირის.

(საყვედურით). რატომ, რატომ არ დამიჯერეთ, ჩემო კარგო, ჩემო საბრალო! ვეღარ დაიბრუნებ. (*ატირება*). ოჰ, ნეტავ მალე შეიცვლებოდეს ეს ჩვენი უხეირო, მოუწყობელი და უსიხარულო ცხოვრება.

პიშჩიკი *(მკლავს მკლავში გაუყრის, ხმადაბლა). ის ტირის. (უჩვენებს ლიუბაზე)*. გავიდეთ დარბაზში, მარტო დავტოვოთ. წავიდეთ. *(მიჰყავს დარბაზისკენ)*.

ლოპახინი. მუსიკა! უფრო ხმამაღლა დაუკარით! ყველაფერი ისე იქნება, როგორც მე მსურს. მოდის ალუბლის ბაღის ახალი პატრონი! (*უეცრად მავიდას დაეჯახა, კინაღამ გადააყირავა*). შემიძლია ყველაფერი ვიყიდო! *(გადის პიშჩიკთან ერთად).*

დარბაზსა და სასტუმრო ოთახში აღარავინ დარჩა, ლიუბოვ ანდრეევნას გარდა. ის სკამზე მოკუნტულა. მწარედ ტირის. მუსიკა წყნარად უკრავს. შემოდიან ანია და ტროფიმოვი. ანია მიდის დედასთან და მის წინ დაიჩოქებს.
ტროფიმოვი კართან ჩერდება.

ანია. დედა, ტირიხარ?! ჩემო კეთილო, ჩემო კარგო, მიყვარხარ, მიყვარხარ... ალუბლის ბაღი გაიყიდა, აღარ არის, მაგრამ ნუ ტირი, დედა, ცხოვრება არ დამთავრებულა. შენი სუფთა, სპეტაკი სული ხომ შენია... წამოდი, დედა, ერთად წავიდეთ აქედან... ჩვენ გავაშენებთ ახალ ბაღს, ამაზე უკეთესს, ნახავ მას და სიხარული, მშვიდი, უსაზღვრო, მოეფინება შენს სულს, როგორც საღამო ჟამს მზის სხივი. მაშინ გაიღიმებ, დედა! წამოდი, საყვარელო, წავიდეთ!

ფარდა

მეოთხე მოქმედება

პირველი მოქმედების დეკორაცია. ფანჯრებზე ფარდები აღარ არის, აღარც სურათებია კედლებზე. დგას ცოტაოდენი ავეჯი. ისიც ერთ კუთხეში მიუწყვიათ, ალბათ გასაყიდად. ოვრძნობა სიცარიელე. გასასვლელ კართან და სცენის სიღრმეში აწყვია ჩემოდნები, სამგზავრო ფუთები და სხვა. მარცხნივ კარი ღიაა, იქიდან ისმის ანიას და ვარიას ხმები. ლოპახინი დგას და იცდის. იაშას ლანგარი უჭირავს, ზედ შამპანურით სავსე ჭიქები აწყვია. დერეფანში ეპიხოდოვი ყუთს კრავს. სცენის მიღმა, ჩოჩქოლი ისმის. გლეხები მისულან გამოსამშვიდობებლად. გაუგის ხმა: „გმადლობთ, ძმებო, გმადლობთ!"

იაშა. დასამშვიდობებლად მოვიდა უბრალო ხალხი. ერმოალაი ალექსეიჩ, ჩემი აზრით, ხალხი კეთილია, მაგრამ არაფერი ესმის.

ხმაური შეწყდა. შემოდიან ლიუბოვ ანდრეევნა და გაევი. ლიუბოვ ანდრეევნა აღარ ტირის, მაგრამ გაფითრებულია, კანკალებს და ლაპარაკი უჭირს.

გაევი. მთელი ფული იმათ დაურიგე, ლიუბა, ასე როგორ იქნება!

ლიუბ. ანდ. არ შემეძლო სხვანაირად! არ შემეძლო!

ორივენი გადიან.

ლოპახინი (*კარში მიაძახებს*). მობრძანდით, გთხოვთ, უმორჩილესად! წასვლის წინ თითო ჭიქა მიირთვით! ქალაქში ვერ მოვიფიქრე ყიდვა და სადგურში მხოლოდ ერთი ბოთლი ჰქონდათ. ის ავიღე. მობრძანდით!

პაუზა

ბატონებო, არ ინებებთ? (*კარს მოშორდება*). რომ მცოდნოდა, არ ვიყიდდი. მაშინ მეც არ დავლევ.

იაშა ფრთხილად დადებს სკამზე ლარვარს.

შენ მაინც დალიე, იაშა!

იაშა. წამსვლელებს კეთილი მგზავრობა! დამრჩენთ გაუმარჯოს! (*სვამს*). ეს არ არის ნამდვილი შამპანური, გარწმუნებთ!

ლოპახინი. რვა მანეთი ღირს ბოთლი.

პაუზა

რა საშინლად ცივა აქ.

იაშა. დღეს ღუმელი არ აგვინთია, მაინც მივდივართ. (*იცინის*).

ლოპახინი. რა გაცინებს?

იაშა. კმაყოფილი ვარ.

ლოპახინი. ოქტომბერია, მაგრამ მზიანი, წყნარი ამინდია, როგორც ზაფხულში. კარგი დროა მშენებლობისთვის. (*საათს დახედავს და ვასძახებს).* ბატონებო, მატარებლის გასვლამდე ორმოცდაექვსი წუთი დარჩა! მაშასადამე, ოცი წუთის შემდეგ სადგურში მივდივართ. იჩქარეთ.

შემოდის ტროფიმოვი. პალტო აცვია.

ტროფიმოვი. უკვე წასვლის დროა. ეტლი გელოდებათ. ჩემი კალოში სად დაიკარგა. (*ვასძახის*). ანია, ჩემი კალოში არ არის. ვერ ვიპოვე.

ლოპახინი. ხარკოვში მივდივარ. თქვენი მატარებლით წამოვალ, მთელი ზამთარი ხარკოვში ვიქნები, თქვენთან ყბედობას მოვუნდი. გავგიჟდი უსაქმურობით, რამდენი დრო დავკარგე. არ შემიძლია ასე ყოფნა. ხელები თითქოს ჩემი არ არის.

ტროფიმოვი. აი წავალთ და თქვენც თქვენს სასარგებლო შრომას შეუდგებით.

ლოპახინი. დალიეთ ერთი ჭიქა.

ტროფიმოვი. არ დავლევ.

ლოპახინი. მაშ ახლა მოსკოვში, არა?

ტროფიმოვი. დიახ, ამათ ქალაქამდე გავაცილებ და ხვალ მოსკოვში წავალ.

ლობახინი. ჰო... უშენოდ პროფესორები ლექციებს არ კითხულობენ, გელოდებიან, როდის ჩამოვაო.

ტროფიმოვი. ეგ შენი საქმე არ არის.

ლობახინი. რამდენი წელია, რაც შენ უნივერსიტეტში სწავლობ?

ტროფიმოვი. რაიმე ახალი თქვი რა, ეგ დაძველდა და არ გვეცინება. (*კალოშებს ეძებს*). იცი, ჩვენ ალბათ აღარ შევხვდებით ერთმანეთს, ნება მომეცი, გამოთხოვებისას რჩევა მოგცე. ხელებს ნუ იქნევ! მოიშალე ეგ ჩვეულება – ხელების ქნევა. აი კიდევ რა, აგარაკების შენებას რომ აპირებ და გეგმავ, მოაგარაკეები თანდათან კერძო მესაკუთრეები გახდებიანო, ეგეც ხელების ქნევაა. მაგრამ ასეა თუ ისე, მაინც მიყვარხარ. არტისტივით ნაზი თითები გაქვს და სულიც ასეთივე...

ლობახინი. (*მოეხვევა*) მშვიდობით, ჩემო კარგო. მადლობელი ვარ ყველაფრისათვის. თუ გჭირდება, სამგზავროდ ფულს მოგცემ.

ტროფიმოვი. რაში მჭირდება?!

ლობახინი. რომ არა გაქვს?

ტროფიმოვი. მაქვს. მადლობელი ვარ. თარგმანში მივიღე. აქა მაქვს, ჯიბეში. (*შეშფოთებული*). კალოში კი ვერ ვნახე!

ვარია *(მეორე ოთახიდან)*. ინებეთ თქვენი ჯღანები. (*სცენაზე რეზინის კალოშებს გადმოყრის*).

ტროფიმოვი. რატომ ბრაზობთ, ვარია. ეს ჩემი კალოში არ არის...

ლობახინი. გაზაფხულზე ათასი დესეტინა ხაშხაში დავთესე და ორმოცი ათასი მოვიგე. უნდა გენახა, რა ლამაზად ყვაოდა, ორმოცი ათასი სუფთა მოგება ვნახე. სესხად გთავაზობ. მოგცემ-მეთქი, გეუბნები, ესე იგი შემიძლია. ცხვირის აწევა რა საჭიროა? გლეხი ვარ, უბრალოდ ვამბობ...

ტროფიმოვი. მამაშენი გლეხი იყო, მამაჩემი აფთიაქარი, მერე რა...

ლობახინი საფულეს ამოიღებს.

ორასი ათასიც რომ მომცე, არ ავიღებ, მე თავისუფალი კაცი ვარ. რაც თქვენ მდიდრებს და ღარიბებს რამედ მიგაჩნიათ, ჩემთვის არაფერს ნიშნავს. დღეს არის, ხვალ არა. მე ძლიერი

ვარ და ამაყი. ჩემნაირებს მიჰყავთ კაცობრიობა ჭეშმარიტი სიმართლისაკენ, ჭეშმარიტი ბედნიერებისაკენ.

ლოპახინი. მიხვალ იქამდე?

ტროფიმოვი. მივალ.

პაუზა

მივალ ან სხვებს ვასწავლი გზას.

ისმის, როგორ ჩეხავენ ხეებს.

ლოპახინი. წასვლის დროა, მშვიდობით, ჩემო კარგო. ჩვენ ერთმანეთის წინაშე თავს ვიწონებთ, ცხოვრება კი, მიდის თავისთვის. იცი, როდესაც ბევრს ვმუშაობ, მაშინ მგონია ხელმე, რომ ვხვდები, რისთვის ვარსებობ. ამ ქვეყნად, ჩემო ძმაო, რამდენია ისეთი, ვინც არ იცის, რისთვის არსებობს. თუმცა საქმის დინებისთვის ეს სულერთია. ამბობენ, ლეონიდმა ადგილი მიიღო ბანკში და წლიურად ექვსი ათასი ექნებაო... მაგრამ იმუშავებს? ძალიან ზარმაცია...

ანია (*კარიდან*) დედამ გთხოვათ, ჩემს წასვლამდე ბაღს ნუ გაჩეხავენო.

ტროფიმოვი. მართლაცდა, რა უტაქტობაა! (*გადის*).

ლოპახინი. ახლავე, ახლავე... მართლაც... (*გადის*).

ანია. ფირსი გაგზავნეთ სააგადმყოფოში?

იაშა. დილით ვუთხარი. ალბათ უკვე გაგზავნეს.

ანია (*ეპიხოდოვს, რომელმაც დარბაზზე გამოიარა*). გაიგეთ, თუ შეიძლება, ფირსი სააგადმყოფოში გაგზავნეს თუ არა.

იაშა (*ნაწყენი*). დილით ვუთხარი ეგორს. ათჯერ ხომ არ შევეკითხები?

ეპიხოდოვი. ჩვენი ხანდაზმული ფირსი, ჩემი საბოლოო შეხედულებით ვეღარ შეკეთდება. წინაპრებთან მიდის და უნდა გითხრათ, მშურს მისი. (*ჩემოდანი ქუდის მუყაოს კოლოფზე დადო და ჩაჭყლიტა*). ხედავთ. ასეც ვიცოდი!

გადის.

იაშა. (*დაცინვით*). თარსი!

ვარია (*ვარუდას*). ფირსი წაიყვანეს საავადმყოფოში?
ანია. წაუყვანიათ.
ვარია. აბა წერილი რატომ არ წაიღეს ექიმთან?
ანია. იქნებ ვინმე დაეწიოს...
ვარია. (*ვარუდას*). იაშა სად არის, უთხარით, დედამისი მოვიდა დასამშვიდობებლად.
იაშა. (*ხელებს იქნევს*). მოთმინებიდან გამოგიყვანეს!

დუნიაშა ბარგთან ტრიალებს. როდესაც იაშა მარტო დარჩება, მიდის მასთან.

დუნიაშა. ერთხელ მაინც შემომხედე, იაშა. მიდიხარ, მტოვებ! *(ტირის, ყელზე ეხვევა).*
იაშა. რა გატირებს? *(სვამს შამპანურს)*. ექვსი დღე და ისევ პარიზში ვიქნები! ხვალ, ჩქარ მატარებელში ჩავჯდებით და წავალთ! არც კი მჯერა. ვივ ლა ფრანს!.. აქ არ შემიძლია ცხოვრება... რა ვქნა! მომბეზრდა გაუნათლებელი ხალხის ცქერა. *(სვამს შამპანურს)*, ტირილი არ არის საჭირო. წესიერად უნდა მოიქცე და სატირალი აღარ გექნება.
დუნიაშა. (*ბუდრს ისვამს, სარკეში იხედება*). პარიზიდან წერილი მაინც გამომიგზავნე, მიყვარხარ, იაშა! ხომ იცი, რა სათუთი ბუნების ვარ!
იაშა. აქეთ მოდიან. (*შეუდგება ჩემოდნების ალაგებას. ლიდინებს. შემოდიან ლიუბოვ ანდრეევნა, გაევი, ანია, შარლოტა).*
გაევი. წავედით, თორემ დავიგვიანებთ. *(იაშას შეხედავს)*. თევზის სუნით ვინ ყარს ასე?
ლიუბ. ანდ. ათ წუთში წავალთ. (*თთახს თვალს მოავლებს).* მშვიდობით, ჩემო ბებერო სახლო, აი გავა ზამთარი, დადგება გაზაფხული და შენ უკვე აღარ იქნები, დაგშლიან, დაგანგრევენ. რამდენი რამ უნახავთ ამ კედლებს. (*მხურვალედ კოცნის ანიას*). ჩემო საყვარელო, თვალები ალმასივით გიბრწყინავს, კმაყოფილი ხარ?
ანია. ძალიან. ახალი ცხოვრება იწყება, დედა!
გაევი (*მხიარულად*). მართლაც ყველაფერი კარგად მოეწყო. ალუბლის ბაღის გაყიდვამდე ვღელავდით, ვიტანჯებოდით, ხოლო როდესაც საკითხი საბოლოოდ გადაწყდა, დავმშვიდდით და გავმხიარულდით კიდეც... მე ბანკის მოხელე გავხდი,

ფინანსისტი... ყვითელი შუაში. შენ კი, ლიუბა, რაც გინდა ისა თქვი და ბევრად უკეთ გამოიყურები.

ლიუბ. ანდ. ჰო, ნერვები დამიწყნარდა, ეს მართალია.

აწოდებენ პალტოს და ქუდს.

უკეთ მძინავს. გაიტანეთ ჩემი ბარგი. იაშა, დროა. (*ანიას*). ჩემო გოგონა, მალე შევხვდებით... მივდივარ. პარიზში იმ ფულით ვიცხოვრებ, შენმა ბებიამ მამულის შესასყიდად რომ გამოგზავნა. გაუმარჯოს ბებიას! ისე კი, დიდხანს არ მეყოფა.

ანია. მალე დაბრუნდები, დედა, ძალიან მალე... მე მოვემზადები, გამოცდებს ჩავაბარებ, შემდეგ ვიმუშავებ და დაგეხმარები. სულ ერთად ვიქნებით. ერთად წავიკითხავთ საინტერესო წიგნებს... ხომ ასეა? *(ხელებს უკოცნის).* შემოდგომის საღამოებს სულ კითხვაში გავატარებთ და ჩვენს წინ გადაიშლება ახალი, საუცხოო სამყარო... (*ოცნებობს*). ჩამოდი რა, დედა...

ლიუბ. ანდ. ჩამოვალ, ჩემო ანგელოზო *(მოეხვევა შვილს).*

შემოდის ლოპახინი. შარლოტა წყნარად მღერის.

გაევი. რა ბედნიერია შარლოტა, მღერის!

შარლოტა. (*აიღებს რაღაც შეხვეულს, რომელიც ბავშვს ჰგავს).* ჩემი პატარა... ნანა... ნანააა...

მოისმის ბავშვის ტირილი.

გაჩუმდი ჩემო კარგო, ჩემო ბიჭო!

„უა, უა!“

როგორ მებრალები. *(შეხვეულს თავის ადგილზე დააგდებს).* მომიძებნეთ, მიპოვეთ რაიმე სამსახური, არ შემიძლია ასე.

ლოპახინი. გიპოვით, შარლოტა, გიპოვით, ნუ სწუხართ.

გაევი. ყველა თავს გვანებებს. ვარიაც გარბის. აღარავის ვჭირდებით.

შარლოტა. ქალაქში, არ ვიცი, სად ვიცხოვრო, არადა, უნდა წავიდე... (*ლიდიანებს*). ახ, სულერთია...

შემოდის პიშჩიკი.

ლოპახინი. მოვიდა ბუნების საოცრება!

პიშჩიკი. ოჰ, ერთი სული მოვითქვა... აღარ შემიძლია... პატივცემულო ბატონებო... წყალი დამალევინეთ.

გაევი. ფული გენდომება! ნურას უკაცრავად, მე წავედი. *(ვადის).*

პიშჩიკი. რა ხანია, თქვენთან არ ვყოფილვარ, უმშვენიერესო... (*ლოპახინს*). შენც აქ ყოფილხარ... მიხარია შენი ნახვა. უდიდესი ჭკუის კაცი... აჰა, გამომართვი... (*ლოპახინს ფულს გაუწოდებს*). ოთხასი მანეთია... ჩემზე რვაას ორმოცი დარჩა...

ლოპახინი (*გაოცებული მხრებს იჩეჩავს).* ნამდვილად სიზმარია... სად იშოვე?

პიშჩიკი. ახლავე... უჰ, ცხელა... დაუჯერებელი ამბავია. ინგლისელები ჩამოვიდნენ და ჩემს მიწაში რაღაც თეთრი თიხა აღმოაჩინეს... (*ლიუბოვ ანდრეევნას*) თქვენც ოთხასი... ინებეთ, მშვენიერო... *(ფულს აძლევს*). დანარჩენს მოგვიანებით. *(სვამს წყალს*) ახლა მატარებელში ერთი ყმაწვილი კაცი ამბობდა, თითქოს რომელიღაც ცნობილი ფილოსოფოსი გვირჩევს, სახურავიდან ვისკუპოთ – „ვადახტითო“, და მეტი არაფერი. წარმოვიდგენიათ? წყალი!

ლოპახინი. ვინ ინგლისელები ჩამოვიდნენ?

პიშჩიკი. ჩემი თიხიანი მიწა ოცდაოთხი წლით მივეცი... ახლა უკაცრავად, არ მცალია, უნდა გავიქცე... ზნოიკოვთან მივდივარ, კარდამონოვთანაც. ვალები დავარიგო. (*სვამს*) კარგად იყავით... ხუთშაბათს შემოგივლით...

ლიუბ. ანდ. ახლა გადავდივართ ქალაქში, ხვალ კი მე საზღვარგარეთ...

პიშჩიკი. როგორ? *(შეშფოთებული).* ქალაქში რატომ? ჰო, ვხედავ... ეს ავეჯი... ჩემოდნები... (*ცულაჩუყებული*) არაფერია... დიდი ჭკუის ხალხი... ეს ინგლისელები... არაფერია, აბა, ბედნიერად იყავით... ღმერთი შეგეწევათ... არაფერია, ყველაფერს

ამქვეყნად დასასრული აქვს... *(ლიუბოვ ანდრეევნას ხელზე კოცნის).* ერთხელაც იქნება, გაიგებთ ამბავს, რომ ჩემი აღსასრულიც დადგა... მაშინ გაიხსენეთ ერთი ცხენი კაცი და თქვით, „იყო-თქო ასეთი და ასეთი, სიმეონოვ-პიშჩიკი, ღმერთმა აცხონოს-თქო“... რა კარგი ამინდია დღეს... დიახ... *(აღელვებული გადის, კართან შეჩერდება).* დაშენკამ მოკითხვა გადმოგცათ. (*გადის*).

ლიუბ. ანდ. ახლა უკვე წავიდეთ. ორი დარდი მიმყვება. ერთი, ეს ავადმყოფი ფირსია. (შეხედავს საათს). ხუთი წუთი კიდევ მაქვს.

ანია. დედა, ფირსი ამ დილით წაიყვანეს საავადმყოფოში, იაშამ გაგზავნა.

ლიუბ. ანდ. მეორე დარდი ვარიაა. ის მიჩვეულია ადრე ადგომას და შრომას, ახლა ისეა, როგორც თევზი უწყლოდ. გახდა. ფერი აღარა აქვს, სულ ტირის...

პაუზა

ერმოლაი ალექსეიჩ, თქვენ იცით, როგორ ვოცნებობდი, ვარია თქვენთვის მომეთხოვებინა. თითქოს ყველაფერი ისე იყო, გვეგონა ირთავდით. *(ანიას უჩურჩულებს. ის შარლოტას რაღაცას ანიშნებს და ორივენი გავლენ).* მას უყვარხართ, თქვენც მოგწონთ და არ ვიცი, არ ვიცი, რატომ გაურბიხართ ერთმანეთს, ვერ გამიგია!

ლოპახინი. თვითონაც არ ვიცი. მართალი გითხრათ, უცნაურია. თუ დრო გაქვთ, ახლავე გადავწყვიტოთ. უთქვენოდ, ვგრძნობ, ვერაფერს მოვახერხებ.

ლიუბ. ანდ. ჰოდა, ძალიან კარგი. ერთი წუთია მხოლოდ ამისთვის საჭირო. დავუძახებ...

ლოპახინი. თან შამპანურიც გვაქვს. (*შეხედა ჭიქებს*). ცარიელია, ვიღაცას დაულევია.

იაშა ჩაახველებს.

ლიუბ. ანდ. ძალიან კარგი. ჩვენ გავალთ. იაშა, allez! ახლავე დავუძახებ. (*ვასძახის*). ვარია, თავი დაანებე ყველაფერს და აქ მოდი! (*გადის იაშასთან ერთად).*

ლოპახინი *(საათს დახედავს)* დიახ...

პაუზა

ვარედან ისმის ჩუმი სიცილი, ჩურჩული,
ბოლოს შემოდის ვარია.

ვარია *(დიდხანს ათვალიერებს ბარგს)* უცნაურია, ვერაფრით ვერ ვნახე.

ლოპახინი. რას ეძებთ?

ვარია. თვითონ ჩავალაგე და აღარ მახსოვს.

პაუზა

ლოპახინი. თქვენ ახლა სად მიდიხართ?

ვარია. მე? რაგულინებთან. მოვილაპარაკეთ. მათ მეურნეობას გავუძღვები...

ლოპახინი. ეგ იაშნეგოშია ხომ? მგონი აქვეა ახლოს. სამოცდაათი ვერსი იქნება.

პაუზა

მაშ უკვე დასრულდა ცხოვრება ამ სახლში...

ვარია *(ბარგს ათვალიერებს)*. სად წავიდა... შეიძლება სკივრში ჩავდე... დიახ, დასრულდა ცხოვრება ამ სახლში... მორჩა!

ლოპახინი. მე ხარკოვში მივდივარ... ამ მატარებლით. ბევრი საქმე მაქვს. აქაურობა ეპიხოდოვს ჩავაბარე. დავიქირავე.

ვარია. რა გაეწყობა!

ლოპახინი. შარშან ამ დროს, თუ გახსოვთ, როგორ თოვდა. ახლა კარგი ამინდია, მზეა. მხოლოდ ყინავს. სამი გრადუსი იქნება.

ვარია. არ მინახავს.

პაუზა

თუმცა ჩვენი თერმომეტრი გატეხილია...

პაუზა

გარედან ისმის „ერმილაი ალექსეიჩ!“

ლოპახინი: *(თითქოს ამას ელოდა ამდენი ხანი).* ახლავე, მოვდივარ. *(სწრაფად გადის).*

ვარია იატაკზე ზის. ფუთაზე თავი უდევს და ჩუმად ტირის. გაიღება კარი და ფრთხილად შემოდის ლიუბოვ ანდრეევნა.

ლიუბ. ანდ. რაო?

პაუზა

უნდა წავიდეთ!

ვარია. (*აღარ ტირის, ცრემლს მოიწმენდს*). წავიდეთ, დედიკო, არ დაგვაგვიანდეს... რაგულინებთან დღესვე მოვასწრებ მისვლას.

ლიუბ. ანდ. (*გასძახის*) ანია, ჩაიცვი!

შემოდიან ანია, გაევი, შარლოტა. გაევს თბილი პალტო აცვია. თავს იყრიან მოსამსახურეები და მეეტლეები. ბარვთან ეპიხოდოვი ტრიალებს.

ლიუბ. ანდ. აბა, გზას გავუდგეთ!

ანია*.* (*მხიარულად*) წავედით!

გაევი*.* მეგობრებო, ჩემო ძვირფასო მეგობრებო! სამუდამოდ ვტოვებ ამ სახლს და არ შემიძლია გამოთხოვებისას არ გამოვთქვა ის გრძნობები, რომლებითაც აღსავსე გახლავთ მთელი ჩემი არსება.

ანია*.* (*ვედრებით*) კარგი რა, ძია!

ვარია*.* არ გინდა, ძია!

გაევი (*უხალისოდ*). დუბლეტით ყვითელი შუაში... ჩუმადა ვარ..

შემოდის ტროფიმოვი, შემდეგ ლოპახინი.

ტროფიმოვი*.* წავიდეთ, ბატონებო, დროა!

ლოპახინი*.* ეპიხოდოვ, ჩემი პალტო!

ლიუბ. ანდ. ერთი წუთით ჩამოვჯდები. თითქოს პირველად დავინახე ეს სახლი... ეს კედლები... ეს ჭერი... მინდა ვუცქირო... როგორ მიყვარს...

გაევი. მახსოვს, ექვსი წლის ვიყავი, სულიწმინდის მოფენის დღეს აი, ამ ფანჯარაზე ვიჯექი და ვუყურებდი, როგორ მიდიოდა მამაჩემი საყდარში.

ლიუბ. ანდ. ბარგი სულ წაიღეს?

ლოპახინი. მგონი სულ. (*პალტოს იცვამს. ეპიხოდოვს*). მიხედე აქაურობას. წესრიგი იყოს.

ეპიხოდოვი. *(ჩახრინწული ხმით)* მაგაზე ნუ სწუხართ!

ლოპახინი. რა ხმა გაქვს?

ეპიხოდოვი. წყალს ვსვამდი და რაღაც ჩამყვა.

იაშა. (*ზიზღით*). აუ, ეს ვინ არის!..

ლიუბ. ანდ. მივდივართ და აქ ერთი სულიერი აღარ რჩება.

ლოპახინი. გაზაფხულამდე.

ვარია. *(ბარგიდან ვამოვლეჯს ქოლგას და თითქოს უნდა მოიქნიოსო. ლოპახინი სახეს ისე უჩვენებს, თითქოს შეეშინდათ).* როგორ გეკადრებათ, არც კი მიფიქრია.

ტროფიმოვი. ბატონებო, წავიდეთ, დროა! საცაა მატარებელი ჩამოდგება.

ვარია. პეტია, აი თქვენი კალოშები, ჩემოდნის გვერდით არის (*აცრემლებული*). რა დასვრილი ყოფილა, რა დაგლეჯილი...

ტროფიმოვი (*კალოშებს იცვამს*). წავიდეთ, ბატონებო!..

გაევი *(აღელვებულია, ეშინია, არ ატირდეს).* მატარებელი... სადგური... კრუაზე შუაში, თეთრი დუბლეტით კუთხეში...

ლიუბ. ანდ. წავედით!

ლოპახინი. ყველა აქ არის? შიგნით ხომ აღარავინ დარჩა? (*მარცხნივ გვერდითა კარს ჩაკეტავს*) ბარგი რჩება. უნდა ჩაიკეტოს. წავიდეთ!

ანია. მშვიდობით, სახლო! მშვიდობით, ძველო ცხოვრებავ!

ტროფიმოვი. გაუმარჯოს ახალ ცხოვრებას! *(ვადის ანიასთან ერთად).*

ვარია თვალს შეავლებს ოთახს და აუჩქარებლად ვადის. გაევლენ იაშა და შარლოტა თავისი ძაღლით.

ლოპახინი. მაშ გაზაფხულამდე... გამობრძანდით, ბატონებო... ნახვამდის! (*გადის*).

ლიუბ. ანდ. და გაევი მარტო რჩებიან. თითქოს ამას ელოდნენო, ერთმანეთს მოეხვევიან და ჩუმად, ჩუმად ტირიან.

გაევი (*სასოწარკვეთილი*) ჩემო დაიკო... ჩემო...

ლიუბ. ანდ. ჩემო ძვირფასო... ჩემო კარგო... ულამაზესო ბაღო... ჩემო ცხოვრებავ... ჩემო ახალგაზრდობავ, ბედნიერებავ, მშვიდობით! მშვიდობით!

ისმის ანიას მხიარული ხმა: „დედა!“
ტროფიმოვის ასევე მხიარული — „აი, სადა ხართ“...

ლიუბ. ანდ. უკანასკნელად ვხედავ ამ კედლებს, ამ ფანჯრებს... ამ ოთახში უყვარდა ყოფნა განსვენებულ დედაჩემს...

გაევი. ჩემო დაიკო...

ისევ ანიას და ტროფიმოვის მხიარული ხმები: „დედა!“

ლიუბ. ანდ. მოვდივართ!

გადიან.

სცენა ცარიელია. ისმის, ჩხაკუნით როგორ იკეტება ყველა კარი, შემდეგ ეტლების წასვლის ხმა. სიჩუმე ჩამოვარდება. ყრუდ გაისმის, როგორ ჩუხავენ ხეებს ნაჯახით. ეს ხმა სიმარტოვისა და სევდის განცდას ამძაფრებს. მოისმის ნაბიჯების ხმა. მარჯვენა კარში გამოჩნდება ფირსი, მას, როგორც ყოველთვის, აცვია პიჯაკი და თეთრი ჟილეტი, ფეხებზე ფეხსაცმელი. ავადაა.

ფირსი (*მიდის კართან, მოსინჯავს სახელურს*). დაკეტილია, წასულან... (*ჯდება დივანზე*). ყველას დავავიწყდი... არაფერია... აქ ჩამოვჯდები... ლეონიდ ანდრეიჩმა ალბათ ქურქი არ ჩაიცვა, პალტოთი წავიდა (*ამოოიხრებს*). მეც ვერ მივაქციე ყურადღება. ეს ახალგაზრდები. (*შემდეგ რაღაცას*

გაუგებრად ბურტყუნებს). დამთავრდა ცხოვრება. თითქოს არც ვყოფილვარ... (*წვება*). დავწვები. ღონე აღარა გაქვს, ღონე. რა გაქვს, არაფერი... ეეჰ, შე დოყლაპია შენა! *(წევს გაუნძრეველად).*

ისმის სიმის გაწყვეტის ხმა, მწუხარე და სევდიანი, ჩამოვარდება სიჩუმე, მხოლოდ შორიდან ისმის, როგორ ჩეხავენ ბაღში ხეებს.

ფარდა